N1 (10) 2009

ME

ლესბი / გეი / ბი / ტრანს ჟურნალი საქართველოში

LESBIAN / GAY / BISEXUAL / TRANSGENDER MAGAZINE IN GEORGIA

SOME HAVE FOUGHT
FOR THE RIGHT TO DIVORCE,
WE WILL FIGHT
FOR THE RIGHT TO MARRY!

ზოგმა იბრძოლა
განქორწინების უფლებისათვის,
ჩვენ ქორწინების
უფლებისათვის ვიბრძვით!

ქრონიკა
NEWS

საქართველო
Georgia
2

მსოფლიო
World
4

უფლებები
RIGHTS
6

საოცარი ამერიკა
America the Wonderful

ჯანმრთელობა
HEALTH
10

აივ ინფექცია/შიდსის ეპიდსიტუაცია საქართველოში
HIV/AIDS situation in Georgia

თემა
THEME
19

ემანსიპაცია, როგორც პოლიტიკური პროცესი
Emancipation as a political process

ინტერვიუ
INTERVIEW
14

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისარი **თომას ჰამარბერგი**
Thomas Hammarberg, Council of Europe Commissioner for Human Rights

ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოს დირექტორი **მორტენ ქერუმი**
Morten Kjaerum, director of the EU Fundamental Rights Agency
17

მედია
MEDIA

ნუ მოკლავ ჯაფარას!
To kill a mockingbird
26

ხელოვნება
ART
34

მოიმარჯვეთ ცხვირსახოცები
Get out your handkerchiefs

გამომცემელი: ფონდი ინკლუზივი

სტამბა: შპს "სეზანი"
თბილისი, წერეთლის გამზ.140
ტელ: 357002
lika@cezanne-web.com

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ფონდ ინკლუზივის ვებ-გვერდზე
www.inclusive-foundation.org

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია წყაროს მითითება.

ჟურნალი ვრცელდება უფასოდ
გამოცემა დაფინანსებულია ჰოლანდიის ეროვნული ლგბ ასოციაციის "სი-ოუ-სი ნიდერლანდისა" (COC Netherlands) და ჰაინრიხ ბიოლის ფონდის (Heinrich Boell Foundation) მიერ.

ჟურნალის დიზაინი: pr¦ntlock
ფოტო გარეკანზე: ერვინ ოლაფი

ნომერზე მუშაობდნენ:

ეკა აღდგომელაშვილი
პაატა საბელაშვილი
ანა კირეი
კახა კეპულაძე
ლელა გაფრინდაშვილი
ნინო ძანძავა
ჯონ ჰორანი
ნინო ბექიშვილი

მიუხედავად ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გაცხადებული პრინციპებისა, კაცობრიობამ დღემდე ვერ შეძლო გათავისუფლებულიყო წინასწარგანწყობების, ფობიებისა და ნეგატიური სტერეოტიპებისაგან. XX საუკუნის პირველი ნახევრის მძიმე გამოცდილების მიუხედავად, საზოგადოების გარკვეული ნაწილი დღემდე ცდილობს სხვადასხვა არგუმენტებით გაამართლოს და ახსნას დისკრიმინაციული დამოკიდებულება ლგბტ ჯგუფის მიმართ. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჰომოსექსუალური ურთიერთობები დღემდე კრიმინალიზებულია. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც კანონმდებლობა დისკრიმინაციული არაა, ლგბტ ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით სიტუაცია ნაკლებად დამაკმაყოფილებელია.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“; სისხლის სამართლის ახალი კოდექსი ითვალისწინებს სასჯელს ზოგადად მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის. თუმცა, დისკრიმინაციის მიზეზთა ჩამონათვალი არაა ამომწურავი და მასში არაა მითითებული დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის გამო. ასევე, არ არსებობს სპეციალური კანონი, ან მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც დაარეგულირებდა სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე არსებულ დისკრიმინაციას. სპეციალური ანტიდისკრიმინაციული კანონისა და შესაბამისი დაცვითი მექანიზმების არარსებობის პირობებში კი ლგბტ ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავ პრობლემას აწყდებიან.

ჟურნალ „მეს“ მეათე ნომრის მთავარი თემა ლგბტ უფლებებია. ტრადიციული რუბრიკებისა და ლგბტ მოძრაობის ისტორიაში მცირე ექსკურსის გარდა, შემოგთავაზებთ სხვადასხვა სფეროში ლგბტ უფლებების თვალსაზრისით არსებული სიტუაციის ანალიზს საქართველოსა და საზღვარგარეთ.

EDITORIAL

Even after the adoption of the Universal Declaration of Human Rights, humankind has nonetheless failed to liberate itself from prejudices, phobias and stereotypes.

Despite the bitter experiences of the first half of the 20th century, part of society uses various arguments to justify and explain their discriminatory attitudes towards LGBT people.

Homosexual behaviour remains a crime in many countries of the world. Even in countries where the legislation is not discriminatory, the situation concerning LGBT people's rights is far from satisfactory.

Under the Georgian Constitution, "All people are free by birth and equal before the law irrespective of race, skin colour, language, sex, religion, political or other views, national, ethnic or social affiliation, origin, property or title status, or place of residence." The new criminal code envisages punishment for any violation of the equal rights of citizens.

But this is not an exhaustive list of grounds of discrimination: the law does not include a provision on discrimination based on sexual orientation and/or gender identity.

Likewise, there is no law or article in the criminal code that would outlaw discrimination on the basis of sexual orientation.

And given the lack of special antidiscrimination laws and relevant protection mechanisms, LGBT people face numerous problems in their everyday lives.

The main focus of "Me" magazine's tenth issue is LGBT rights. In addition to our traditional features and short sketches about the history of the LGBT rights movement, we will provide analysis of the existing LGBT rights situation in Georgia and elsewhere.

სიძულვილის ენა

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2009 წლის II (747) ნომერში გამოქვეყნდა ჟურნალისტ ჯაბა ხუბუას სტატია სათაურით „ფრთხილად, ქართველებო, ეს ჟურნალი სახლში არ შეიტანოთ“, რომელიც ჟურნალ “მეს” 7-ე ნომერს ეძღვნებოდა. ჟურნალისტი ჩვენი ჟურნალის პოლიგრაფიულ ხარისხს ჩვენი „ყოვლისშემძლე მფარველების“ კონსპირაციული გეგმებს უკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტი „ახალი ამბების“ რუბრიკის მასალის გარდა დანარჩენი ჟურნალის კომენტირებას ვერ ახერხებს, აცხდება, რომ ეთიკასთან შეუთავსებელი ლექსიკა მისი შეგნებული არჩევანია. ჟურნალისტს ეპილოგად მოჰყავს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სიტყვები მისი 2009 წლის საშობაო ეპისტოლედან: „ზოგიერთები ამა თუ იმ ვნებაზე ამბობენ, ეს ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა და მას რატომ უნდა ვებრძოლოთო. ამასთან, ჩვენს საზოგადოებაში ხშირად ეს სიტყვა, — ვნება, — დადებით კონტექსტში მოიხსენიება და ტელევიზიისა თუ პრესის საშუალებით მკვიდრდება აზრი, რომ, მაგ., მრუშობა, სიცრუე, განკითხვა, დიდებისმოყვარეობა, ამპარტავნება, მამათმავლობაც კი... ადამიანის თვისებებია და მათში დანაშაულებრივი არაფერია. ეს ტყუილია!“

Hate speech

The 12 January (No 747) issue of the Asaval-Dasavali weekly newspaper featured an article by journalist Jaba Khubua headlined “Caution, Georgians, don’t take this magazine home “, which dealt with the seventh issue of Me magazine. The “journalist” links the high graphic quality of our publication to the “conspirational plans” of our “omnipotent overseers”. Yet Khubua only discusses the News section of the magazine and makes no comment on the rest of its content. In his piece, he deliberately uses unethical and inappropriate language. The article was published in the “Devil be gone!” section of Asaval-Dasavali. The author uses a fragment of Georgian Orthodox Patriarch Ilia II’s 2009 Christmas Epistle for an epilogue: “Some people speak about this or that ‘passion’, saying it is part of human nature and we should not fight against it. And we often hear the word ‘passion’ in a positive context in our society. The idea that, for example, fornication, lying, judging, ambition, pride and even homosexuality are characteristics of human nature and there is nothing wrong with them is being entrenched in our society through TV and the press. But it is a lie!”

2

ვირტუალური “ქომუნითი“

მას, შემდეგ რაც ფონდი *ინკლუზივის* ხელშეწყობით ქართულენოვან ლგბტ რესურსებს შეემატა gay.ge-ეს განახლებული ვერსია და lesbi.ge, ქართული ლგბტ სივრცე ათამდე ახალი ბლოგით შეივსო. სხვადასხვა მიმართულების მიუხედავად, ამ ბლოგებს ერთი ზოგადი გეი თემატიკა აერთიანებს. ფონდი *ინკლუზივის* სტრატეგიიდან გამომდინარე, ამ ტიპის ინიციატივებში მონაწილეობა უშუალოდ არ უკავშირდება ფონდის საქმიანობას, თუმცა, იგი მიესალმება გეი ბლოგერების გამოჩენის ფაქტს და გამოხატავს მზაობას მათ მხარდასაჭერად.

Virtual community

Since the Inclusive Foundation helped launch the Georgian-language LGBT online resources gay.ge (now in a revamped version) and lesbi.ge, another 10 or so blogs have increased the Georgian LGBT presence on the internet. The blogs explore different issues, but all touch on gay themes. Proceeding from the Inclusive Foundation’s existing strategy, the foundation is not directly involved in these activities, though it does welcome the appearance of gay bloggers and expresses readiness to support them.

მედია

ჟურნალ „ცხელ შოკოლადში“ გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით „თანასწორობა — ნიდერლანდური ზღაპარი“. სტატიის ნახევარი ამსტერდამის ლგბტ ცხოვრებასა და აქტივიზმს ეთმობა. სტატიის ავტორი მკითხველს ფონდი *ინკლუზივის* დონორის,

Media

The Tskheli Shokoladi (Hot Chocolate) magazine published an article headlined “Equality - A Dutch Fairytale”. Half of the article dealt with LGBT life and activism in Amsterdam. The author of the article discusses the history of COC Netherlands (which is In-

ევროპის ერთ-ერთი უძველესი ლგბტ ორგანიზაციის COC ნიდერლანდის უფლებებისათვის ბრძოლის ისტორიასა და მის საქმიანობაზე მოუთხრობს. ავტორი ეხება თანასწორობის აღიარების სოციალურ-კულტურულ ასპექტებსაც.

clusive's donor and the oldest LGBT organization in the world) and its struggle for equal rights. The writer also tackles the social and cultural aspects of the recognition of equality.

COC-ის საახალწლო მიღება. ფოტო: გურამ წიბახაშვილი
COC New Years reception. Photo by Guram Tsibakhashvili

ინტერნეტ ბლოგმა „ვიწრო წრე“ რომელსაც ახალგაზრდული სტუდია „მომავლის ექსპრესის“ ჟურნალისტები ამზადებენ გამოაქვეყნა ვიდეო-სიუჟეტი ჟურნალ „მეს“ შესახებ. გამომცემლებთან ინტერვიუს გარდა, რომელიც ჟურნალის დაარსების წინაპირობასა შინაარსობრივ მხარეზე საუბრობენ, სიუჟეტის ავტორები შეეცადნენ გამოერკვიათ საზოგადოებრივი სივრცის ათვისების პერსპექტივა. სიუჟეტის ბოლოს, ავტორი ინტერესდება იციან თუ არა თბილისელმა „თინეიჯერებმა“ ამ ჟურნალის არსებობა და რა აზრის არიან მასზე. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას არ ჰქონდა ინფორმაცია ჟურნალის შესახებ (ის მხოლოდ 500 ტირაჟით იბეჭდება), მათი აზრით, ამგვარი ჟურნალი საერთოდ არ უნდა გამოდიოდეს. დაფიქსირდა საპირისპირო მოსაზრებაც. სიუჟეტის გამოქვეყნებისთანავე ბლოგზე (www.blog.teetv.ge) მრავალი კომენტარი გაჩნდა, როგორც მისი შესრულების პროფესიულ მხარეზე ასევე, პრეტენზიები სიუჟეტისათვის „არაშესაფერისი“ თემის არჩევის თაობაზე.

The internet blog "Tight Circle", which is prepared by journalists at Future Express youth studio, published a video report on Me magazine. In addition to interviewing the publishers about the magazine's origin and content, the authors of the piece also tried to gauge the magazine's reach and people's reaction to it. At the end of the report, they asked Tbilisi teenagers whether they had heard of Me and what they thought about it. The majority had never heard of it (only 500 copies of each issue are printed), and several said that such a magazine should not be published at all. Others took the opposite view, however. As soon as the video was posted on the blog (blog.teentv.ge), numerous comments appeared, some of them critiquing the professionalism of the authors and others complaining that the report dealt with an "inappropriate" subject.

არჩევნები

3აშინგტონის მოლზე ჰომოსექსუალი ეპისკოპოსის მიერ ხელდასმული პრეზიდენტის ლგბტ მხარდამჭერთა გუნდის მონდომებამ უკვალოდ არ ჩაიარა. ინაუგურაციიდან მეორე დღეს თეთრი სახლის ვებგვერდზე, ადამიანის უფლებების პრიორიტეტებში ლგბტ ადამიანების დისკრიმინაციასთან ბრძოლა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მუშაობის გაძლიერება შევიდა. მილიტარისტი რესპუბლიკელების ხელისუფლებიდან წასვლას საქართველოში დიდი სიხარული არ გამოუწვევია, თუმცა ჰილარი კლინტონმა თავისი ტრანსატლანტიკური ტურნეს დროს ხაზი გაუსვა, როგორც რუსეთთან ურთიერთობების გადახედვის საკითხს, ისე უკრაიანისა და საქართველოსათვის ნატოს კარების ღიად დატოვების აუცილებლობას. იმავე ტურნეს დროს (2009 წლის მარტი) ევროპარლამენტის მიერ მოწყობილ შეხვედრაზე ახალგაზრდა ევროპელებთან სახელმწიფო მდივანმა პასუხი გასცა ჩვენი კოლეგისა და მეგობრის, ილგა-ევროპის პროგრამების დირექტორის მაქსიმ ანმეგიკიანის შეკითხვას თეთრი სახლის მიერ ლგბტ საკითხებისადმი დამოკიდებულების ცვლილების თაობაზე. ჰილარი კლინტონმა წუხილი გამოთქვა მსოფლიოში ლგბტ ადამიანების დისკრიმინაციის ფაქტების გამო და დასძინა, რომ თეთრი სახლი უკვე ახდენს ამ საკითხების პრიორიტიზაციას და, რომ იგი იმედოვნებს, რომ მსოფლიოში აღარ იქნება დისკრიმინაცია სიყვარულის ნიადაგზე.

უფლებები

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისარ თომას ჰამარბერგმა ტრანსგენდერ ადამიანთა უფლებებზე საუბრისას აღნიშნა, რომ ევროსაბჭოს მრავალ ქვეყანაში ტრანსგენდერი ადამიანები სტიგმატიზაციის, დისკრიმინაციისა და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. კომისარის აზრით სქესის შეცვლის ოპერაცია, ჰორმანალური თერაპია, სტერილიზაცია და სხვა ჩარევები, (ამის გარეშე ახალი საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის გაცემა იშვიათად თუ ხდება), ჯანმრთელობისათვის უკუჩვენების მქონე, ფიზიკურად ან ფინანსურად არახელმისაწვდომია სახელმწიფოს ან სხვა დაფინანსების გარეშე. თომას ჰამარბერგი აგრეთვე შეეხო იმ სოციალურ პრობლემებს, რომლებსაც ზემოთჩამოთვლილი საკანონმდებლო ბარიერები ბადებს. ბევრ ტრანსგენდერ ადამიანს ეს შეზღუდვები ყოველდღიურ ცხოვრებაში უქმნის პრობლემებს დაზღვევის, ჯანდაცვის, საკუთარ შვილზე მეურვეობის უფლების შენარჩუნების, დასაქმებისა და საპენსიო სფეროებში. საქართ-

ბარაკ ობამა
Barak Obama

Elections

The commitment of the LGBT supporters of new US president Barack Obama- who was blessed on the Washington Mall by a gay bishop during his inauguration - has paid off. The day after he was inaugurated, the fight against discrimination on the basis of sexual orientation and the stepping up of efforts to combat hate crimes have been listed among the new administration's human rights priorities on the White House's official website. Some in Georgia were not happy to see the militaristic Republicans leave power in the USA, but during her recent transatlantic tour, new Secretary of State Hillary Clinton emphasized that while the Washington would seek to "reset" relations with Russia, NATO's door must remain open to Georgia and Ukraine. At a meeting of young Europeans organized by the European Parliament during the same trip in March 2009, Clinton answered a question posed by our friend and colleague Maxim Anmeghichean, the Programmes Director at ILGA Europe, about changes in the White House's approach to LGBT issues under the new administration. Clinton said she was troubled by instances of discrimination against LGBT people in the world.

ველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს პასპორტში გენდერული მარკერის შეცვლის პროცედურას. 2007 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა განაჩენი საიდენტიფიკაციო საბუთების შეცვლაზე განმცხადებლის მიერ სქესის შეცვლის ოპერაციის ჩატარების საფუძველზე. ვრცლად, კომისრის მიერ გაკეთებულ განცხადებას გაეცნობით ვებგვერდზე www.commissioner.coe.int

კინო

ჯოდაკის თეატრში გამართული დაჯილდოვება ორი მნიშვნელოვანი მომენტის გამო მოხვდა ჩვენს ჟურნალში. რეჟისორ გას ვან სეტის ფილმში "მილქი" შესრულებული როლისათვის შონ პენმა ოსკარი მოიპოვა საუკეთესო მამაკაცი მსახიობის ნომინაციაში. პერსონაჟი, რომელიც პენმა განასახიერა მრავალი ლგბტ აქტივისტისთვის დღემდე რჩება შთაგონების წყაროდ. ფილმმა მეორე ოსკარი საუკეთესო ორიგინალური სცენარისთვის მოიპოვა, რომლის ავტორიც დასტინ ლენს ბლექია. აღსანიშნავია, რომ სწორედ ლგბტ აქტივსტის ცხოვრებაზე, მის ტრაგიკულ აღსასრულსა და ამით გამოწვეულ უპრეცედენტო საზოგადოებრივ პროტესტზე გადაღებულმა ფილმმა დაიმსახურა ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო. დამატებით ინფორმაციას ამ ფილმის შესახებ შეგიძლიათ ჟურნალის ART რუბრიკაში გაეცნოთ.

შონ პენი ჰარვი მილკის როლში
Sean Penn in Milk

She stressed that the White House was already prioritizing these issues and that she hoped for an end to discrimination on the basis of who one loves.

Rights

In a statement, Council of Europe's Human Rights Commissioner, Thomas Hammarberg, noted that in many CoE member countries, transgender people are subjected to stigmatization, discrimination and physical violence. The commission said that sex reassignment surgeries, hormone therapy, sterilization and other treatments (without which it is rarely possible to obtain identification documents with the appropriate gender indicated) are often either medically impossible, unavailable or unaffordable without financing from the state or other sources. Hammarberg also touched on the social problems that arise from the aforementioned legislative barriers. These restrictions create problems for transgender people in areas such as insurance, healthcare, child custody rights, employment and pensions. Georgian legislation does not define a procedure for changing gender marker in passports. To fill this gap, in 2007, the first instance court handed down a positive verdict for a case, in which person applied to change gender in his identification documents after he underwent sex reassignment. For more on Hammarberg's statement, visit his office's website at www.commissioner.coe.int.

Film

The Academy Awards Ceremony at the Kodak Theatre is mentioned in our magazine for two reasons. Sean Penn won best actor for his lead role in the Gus Van Sant film "Milk". His character, late San Francisco city councilman Harvey Milk, remains a source of inspiration for many LGBT activists to this day. In addition, Dustin Lance Black's script for "Milk" got the nod for best original screenplay. It should be pointed out that it was a film about the life of an LGBT activist, his tragic death and the unprecedented public protest his murder caused that won the USA's highest film honour. For more information on the film, see the Art section of this magazine.

საოცარი ამერიკა
America the Wonderful

ანა კირეი ყირგიზეთის ლგბტ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს. „ლაბრისმა“ პირველი ნაბიჯები 2004 წელს გადადგა და დღეს ყირგიზეთის სამოქალაქო საზოგადოებასა და მსოფლიო ლგბტ მოძრაობის თვალსაჩინო ნაწილია. 2008 წლის ბოლოს ანამ, ბევრ სხვა აქტივისტთან ერთად მონაწილეობა მიიღო სამხრეთ შეერთებულ შტატებში მოწყობილ „თანასწორობის ტურში“. მონაწილეები რელიგიური მიმართულების 15 უნივერსიტეტს ეწვივნენ რამდენიმე შტატში, რათა სტუდენტებს გენდერზე, სექსუალობასა და რწმენაზე ესაუბრათ.

Anna Kirey runs an LGBT Organization in the Central Asian country of Kyrgyzstan. “Labrys” was started from a scratch in 2004 and has gradually become a visible actor in Kyrgyz civil society and the international LGBT movement. In 2008 Anna took part in a 6-week bus tour with other young activists across the southern United States called the “Equality Ride”. The “Riders” visited 15 faith-based universities in a dozen states, engaging students in dialogue about gender, sexuality and faith.

15 ნოემბრის წვიმიან დღეს „VIII შეთავაზების“ მონინააღმდეგე 5000 ლგბტ ადამიანთან ერთად მივაბიჯებდი ვაშინგტონის ქუჩებში. Soulforce Q Equality Ride-ის დირექტორი ერთი დღით ადრე ჩამოვიდა. მისი ორგანიზაცია რეგულარულად აწყობს ახალგაზრდათა დიალოგის ტურს გენდერზე, სექსუალობასა და რწმენაზე. ჩვენ კი კენტუკიდან 6 კვირიანი ავტოტურისა და სამხრეთ შტატების რელიგიური მიმართულების მქონე უნივერსიტეტების მონახულების შემდეგ ჩამოვედით. მანამდე მეგონა, რომ წარმოდგენა მქონდა, რასთან უწევს გამკლავება შეერთებული შტატების ლგბტ მოძრაობას. თუმცა, რალის დროს დავრწმუნდი, რომ საქმე სხვაგვარად იყო.

There I was, marching in the pouring rain in Washington D.C. on 15 November, together with 5,000 other queer people and allies against Proposition 8. The directors of Soulforce Q Equality Ride, a young adult dialogue tour about gender, sexuality and faith, decided to come to the US capital a day earlier. We had driven from Kentucky to DC on the bus, spending six weeks visiting faith-based universities in the southern USA. Before the Ride I thought I understood what the LGBT movement in the US was dealing with. But during the Ride I realized I had no idea.

რალი წინასაარჩევნო ვნებათაღელვას დაემთხვა. მახსოვს, ყოველდღე ვუყურებდი ახალ ამბებს და სარა პეილინის შეხედულებებს ქალთა უფლებების შესახებ გაცოფებამდე მივყავდი. ისიც მახსოვს, რომ მთელი ლგბტ მოძრაობის ფინანსური მხარდაჭერა ობამას საარჩევნო შტაბისკენ იყო მიმართული და ეწინააღმდეგებოდა ისეთ საკანონმდებლო ინიციატივებს, როგორებიც იყო „VIII შეთავაზება“ კალი-

The Ride took place during the heated election season and I remember watching the news every day, being outraged by Sara Palin’s perceptions of women’s rights. Also, I learned that most of the LGBT activism funding went towards supporting Obama and campaigning against initiatives like Prop 8 in California and Act 1 in Arkansas. Prop 8 was put forward by homophobic faith-based organizations to limit the definition of marriage to a union of one man and one woman. The move came in

თანასწორობის რალი – 2008
The Equality Ride – 2008

ფორნიაში და „აქტი I“ არკანზასში . ორივე შეთავაზება გავიდა. მახსოვს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ვზიმობდით არკანზასის ერთ-ერთ საუნივერსიტეტო კომპლექსში. დიდი დღესასწაული იყო, სტუდენტების ჯგუფი ერთხმად სკანდირებდა “Yes, We Can!” (ობამას კამპანიის სლოგანი — „დიახ შეგვიძლია“). სწორედ ამ დროს შეგვატყობინეს, რომ კალიფორნიაში „VIII-შეთავაზება“ გავიდა. ამ ამბავმა ძალიან დაგვანაღვლიანა, თუმცა დანარჩენ ჯგუფს ჩვენი განწყობა მაინცდამაინც არ გადასდებია. რას იზამ, მთავარია, ობამამ გაიმარჯვა და ჩემს თანამგზავრებს ყირგიზეთში გადმობარგება აღარ დასჭირდებათ, როგორც მაკკეინის გაპრეზიდენტების შემთხვევაში აპირებდნენ.

როდესაც ამერიკაზე ფიქრობ, წარმოიდგენ მეტ-ნაკლებად ლიბერალურ საზოგადოებას — დასავლური ფასეულობები, დემოკრატია და მსგავსი. მართლაც ეს არის ამერიკა, ოღონდ ჩრდილოეთ შტატებში. წყალგამყოფი ვაშინგტონია. რაც უფრო სამხრეთით მიდიხარ, მით უფრო ხშირად გესმის შემაძრწუნებელი რელიგიური მოსაზრებები. ვფიქრობდი, რომ როგორც ყირგიზეთში მომუშავე ლგბტ აქტივისტს, გამოცდილი მქონდა მტრული დამოკიდებულების ყველანაირი გამოვლინება. სინამდვილეში, რალის 6 კვირის განმავლობაში ბევრი რამ გადამხდა: ჩემგან დემონების განდევნის მცდელობა, იმის აღმოჩენა, რომ თურმე ჩემი, როგორც ქალის ყველაზე ღვთისიერი და ძვირფასი მოვალეობა ქმარზე და ოჯახზე ზრუნვაა და რომ „არასასურველი ჰომოსექსუალური ტენდენციები“ განკურნებადია. ამ უკანასკნელმა არგუმენტმა სრულ შოკში ჩამაგდო. მე ყოფილი საბჭოელი ვარ და მწამს სამეცნიერო პროგრესის. არ მჯეროდა, რომ ვიყავი პროგრესულ ქვეყანაში და ვისმენდი უნივერსიტეტის პროფესორის შეგონებას იმაზე, თუ როგორ იკურნება ჰომოსექსუალობა. თან, უკეთ რომ დავერწმუნებინე, მისივე წიგნის წაკითხვა მირჩია ამ თემაზე.

ცოტა ხნით წარმოიდგინეთ თავი მისისიპის მიყრუებულ ქალაქში, სადაც ყველგან ავტომობილით გადაადგილდები და არცთუ ისე ბევრ ადამიანს ხვდები ეკლესიის გარეთ. უახლოესი სავაჭრო კომპლექსი 1 საათის სავალზეა და იქაც ვერ წააწყდები ბევრ თავშესაქცევს. მრევლი შენი ოჯახი ხდება, ეკლესიაში სიარული კი – მთავარი რეკრეაციული აქტივობა. შენი მსოფლმხედველობა იმის საფუძველზე ყალიბდება, რასაც ეკლესიაში ისმენ. ეკლესიაში მანამ მიდიხარ, სანამ სკოლაში მიგიყვანენ. ეკლესია შენს სულიერ და სათემო სოციალურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს; გასწავლის, რომ იმ სწავლების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების უფლება არ გაქვს, რომლის გავლენის ქვეშ ხარ. არჩევნების წინა დღეებში ორ ეკლესიას ვეწვიე, ორ სხვადასხვა შტატში და გავოცდი, რადგან ორივეგან ზუსტად ერთნაირი ქადაგება მოვისმინე.

იყო ბევრი განსხვავებული დენომინაციის ეკლესიაც. თუმცა, ბიბლიიდან ერთი და იგივე ნაწყვეტის ციტირე-

response to California’s recognition of same-sex couples’ right to marry earlier that year. Act 1 in Arkansas limited adoption rights to married couples only. Both initiatives passed. I was in Arkansas on Election Day, where we rejoiced in Obama’s victory at a university campus. Balloons in the air, crowds of students cheering “Yes, We Can!” And then we got a call about Prop 8 passing in California. The news made us sad but it had little effect on the rest of the crowd. At least Obama was elected and my fellow Riders would not all have to move to Kyrgyzstan, as they had vowed to do if McCain were elected.

When we think of the US, we tend to think of a more or less liberal society – Western values, democracy and the like. Well, yes, this is what the US is about, but only in the North. The line starts in Washington, DC, and the farther south you go, the more hardcore religious ideas you hear. Being an LGBT activist in Kyrgyzstan, I thought I’d seen it all and done it all in terms of hostility from the general public. During the six weeks on the Ride, people tried to exorcise demons from me; I was told that my only beautiful and precious God-given role as a woman was to take care of my husband and family and that “unwanted homosexual tendencies” can be treated. The latter argument shook me to the core. As a person from the former Soviet Union, I tend to believe in scientific progress and I could not believe I was in a progressive country hearing an academic professional claiming that homosexuality can be treated and trying to get me to read his book about it.

Imagine living in a small town in Mississippi, where you need to drive everywhere and you don’t see too many people anywhere outside church. The nearest mall is one hour away and there is nothing else to do. The people in the church become your family and church becomes your main leisure activity. What you hear in the church also defines your world view, because you go there even before you enter the educational system. The church meets your spiritual and community needs. It also teaches you not to question the belief system that you are exposed to. During the week ahead of the elections, I went to two churches in two different states and was surprised to hear the same sermon.

The churches were also different denominations. Same Bible verses quoted, same message. A lot of my Christian LGBT friends on the Ride said that when they came out to their family or church, there would be sermons about homosexuality being a sin when they would go to church. Some of them confessed their sin to pastors and tried “praying the gay away”, but it did not work.

ბა ხდებოდა, იგივე იყო მესიჯიც. ბევრი ჩემი ქრისტიანი თანამგზავრი მიყვებოდა, რომ მათი ქამინგ აუთის შემდეგ მათი ეკლესიაში მისვლა ყოველთვის აღინიშნებოდა ქადაგებით ჰომოსექსუალური ცოდვის შესახებ. ბევრმა მათგანმა მოინანია საკუთარი ორიენტაცია და მისგან განთავისუფლება ლოცვითაც სცადა, თუმცა, ამან არ უშველათ. ამასთან ერთად შეერთებული შტატები ის ქვეყანაა, სადაც "ექს-გეი მოძრაობა" დაარსდა და სადაც მილიონობით დოლარი იხარჯება "ალტერნატიული" აკადემიური ინსტიტუტებისა დასაფინანსებლად, რომლებიც ხელს უწყობენ ფსევდო-მეცნიერებისა და სოციალური ექსკლუზიურობის იდეების დამკვიდრებას.

ამერიკას მტკივნეული ისტორია აქვს. წარმოიდგინეთ, რომ არ შეგიძლიათ მიაკვლიოთ თქვენი წინაპრების კვალს, ვინაიდან მათი ჩამომავლები საკუთარი ნების წინააღმდეგ ჩამოიყვანეს ქვეყანაში. წარმოიდგინეთ, რომ გსურთ ინტეგრაცია, მაგრამ გარიყული ხართ საკუთარი კანის ფერის გამო. წარმოიდგინეთ, რომ ჰომოსექსუალი ხართ და თემი ამას ვერ მიესალმება, რადგან არ შეიძლება იყო ჰომოსექსუალიც და შავკანიანიც. სან ფრანცისკოში, რომელიც მრავალ ჩვენგანს გეი სამოთხე ჰგონია, თეთრკანიანი გეები 2-3-ჯერ მეტს გამოიმუშავებენ ვიდრე შავკანიანები, ტრანსგენდერების შემწეობა კი მსოფლიო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ათავსებს მათ. შეერთებული შტატები უზარმაზარი კონტრატების ქვეყანაა. სწორედ ასეთ ქვეყანაში თუა შესაძლებელი ერთსქესიანი ქორწინების დაკანონება და შემდეგ, საჯარო კენჭისყრაზე იმავე საკითხის ხელახლა დაყენებით, ამ უფლების შეზღუდვა სწორედ პროგრესულ და ლიბერალურ კალიფორნიაში.

ვფიქრობ, ქვეყანა, რომელიც აზრთა პოლარულობისა და იზოლაციონიზმის წყალობით იმ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა, სადაც დღემდე არაა რატიფიცირებული ბავშვთა უფლებების კონვენცია, კიდევ მრავალი ბრძოლის არენა გახდება. მე ისიც მახსენდება, როგორ ჩამომეცლებოდა ხოლმე თანამოსაუბრე, როდესაც შეიტყობდა, რომ ქრისტიანი არ ვიყავი. თუმცა, მათმა უმეტესობამ არფერი იცოდა ყბადაღებულ სოდომსა და გომორზე. მრავალი სტუდენტი, რომელიც ჩვენ მოვინახულეთ, სულ მალე მისიონერად გაემგზავრება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა უკრაინა, რუსეთი, საქართველო, მოლდოვა, სომხეთი და სხვა, და იმის ქადაგებას მოჰყვებიან, რომ ჰომოსექსუალობა ცოდვაა. მათ ხელთ აქვთ ბიბლიური არგუმენტები, რომელთა კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება ბავშვობიდან ეკრძალებათ. ამ ყველაფერის შემხედვარეს, ერთი სურვილიღა მრჩება — აღვფრთოვანება გამოვხატო შეერთებული შტატების ლგბტ მოძრაობით, რომელიც ასეთ გარემოში მაინც ახერხებს მანევრირებას და პროგრესული კანონმდებლობის ლობირებას. ასევე გასაგები ხდება თუ რატომ არ ჩქარობს შტატების მოძრაობა მსოფლიო მოძრაობის ნაწილად ქცევას — სახლშიც ბევრი საქმე დაგროვდა.

მანანწარეის რალი – 2008
The Equality Ride – 2008

The USA also seems to be the origin of the "ex-gay movement" and one of the few countries where millions of dollars are invested in creating "alternative" academic and professional institutions which promote exclusion and pseudo-science.

The history of the USA is painful. Imagine not being to trace who your great grandparents were and what your origin was because your ancestors were brought to the country against their will. Imagine the pain of trying to fit in but being an outcast because of the colour of your skin. Imagine being LGBT and not being welcome in your community because you just can't be gay and of colour at the same time. In San Francisco, which so many of us see as a queer paradise, for example, white gay men earn two to three times more than black gay men, and transgender women earn wages far below the international poverty level. The USA is a country of major contrasts, which is why it is possible to allow marriage for same-sex couples and then pass a state-wide referendum negating that right even in progressive and liberal California.

I think there will be more struggles inside the country stemming from the polarity of views and isolationism that is key to understanding how the US ended up being one of the few countries that did not ratify the Convention on the Rights of the Child. I had people walking away from me when I said I was not a Christian, they could not stand talking to me. Yet many of them didn't even know what Sodom and Gomorrah was about. Many of the students from the Christian universities and seminaries we visited will be going to Ukraine, Russia, Georgia, Moldova and Armenia as missionaries, where they will preach that homosexuality is a sin. They have Biblical arguments at hand and were raised not to question. I admire the US LGBT rights movement for manoeuvring within this context and managing to push progressive

28 ნოემბერს შტატები შთაბეჭდილებებით სავსემ და თანასწორობის რალის სამკერდე ნიშნით გულდამშვენებულმა დავტოვე. ვიცოდი, ორ კვირაში ისევ მომიწევდა დაბრუნება, ამჯერად იმ ჯგუფთან ერთად, რომელიც ლობირებას გაუწევდა სხვადასხვა ქვეყნების მთავრობის წარმომადგენლებს, ხელი მოეწერათ გაეროს დეკლარაციაზე სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ (SO/GI Declaration). ლგბტ ადამიანების უფლებებზე საუბარმა კვლავ შეიძინა აზრი. ეს აქტივიზმის სხვა დონე იყო.

გენერალურმა მდივანმა ბან-კი-მუნმა გვერდით მაშინ ჩაგვიარა, როდესაც გაეროს შტაბ-ბინაში იმ პოსტ-საბჭოთა ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელს ვესაუბრებოდით, რომელთა დელეგაციებსაც დავუგზავნეთ წერილები დეკლარაციაზე ხელმოწერის თხოვნით.

საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებმა დეკლარაციას ხელი მოაწერს, სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების წარმომადგენლებმა კი ბუნდოვანი დაპირებებით გამოგვისტუმრეს. მიზეზად ის მოიშველიეს, რომ პასუხს დედაქალაქიდან ელოდნენ. ზოგი ქვეყნის წარმომადგენელმა ირონიისათვისაც გამონახა დრო – „ხომ გესმით ჩვენ ქვეყანას თავისი ტრადიციები აქვს“. ყაზახეთმა და თურქმენეთმა იმდენი მოახერხეს, რომ ხელი ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის მიერ იყო წამოწყებულ შემხვედრ ინიციატივას მოაწერეს ხელი. საპირისპირო დეკლარაცია მოუწოდებდა გაეროს სისტემის ყველა სახელმწიფოს და არასამთავრობო ორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღება და რესურსი მიემართათ ოჯახისადმი, როგორც „საზოგადოების ბუნებრივი და ფუნდამენტური ჯგუფური ერთეულისადმი გაეროს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 16-ე მუხლის შესაბამისად“.

საწინააღმდეგო დეკლარაციის რიტორიკა ძალიან მენიშნა. იგივე რიტორიკა ისმოდა სამხრეთ შტატების თითქმის ყველა უნივერსიტეტში, რომელიც „თანასწორობის ტურის“ დროს მოვინახულეთ. განსაკუთრებული ყურადღება ოჯახებს და არა მათ, ვინც შეიძლება სიკვდილით დასაჯონ, და თვითმკვლელობით დაასრულონ სიცოცხლე ქუჩაში მხოლოდ იმის გამო, რომ მათი იდენტობა მათ რწმენასთან შეუთავსებელია. სოგი-ს დეკლარაცია კი მსოფლიოს ჰომოსექსუალობის დეკრიმინალიზაციისა და იმის აღიარებისკენ მოუწოდებდა, რომ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო ადამიანის უფლებები ირღვევა. ძალიან გაგვიხარდა, როცა გავიგეთ, რომ დეკლარაციას ხელი 66 სახელმწიფოს წარმომადგენელმა მოაწერა ხელი. თუმცა, გზის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ წინ არის. მე კი, შეგნებულად მივყვები ამ რთულ გზას და მშვიდად ვიღებ მონაწილეობას დიალოგში ისეთ მარტივ ჭეშმარიტებაზე, რომ ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლები ადამიანები არიან და მათ ადამიანის უფლებები აქვთ.

ანა კირეი

legislation through. I also understand why there are so few efforts in the USA to be part of the international LGBT movement. There is a lot to work to do at home.

I left the USA on 28 November full of impressions, wearing my Equality Ride button proudly. I knew I would be returning in two weeks to be part of a mission of LGBT activists to lobby various governments to sign a UN Declaration on Sexual Orientation and Gender Identity (SO/GI Declaration). All of a sudden, the struggles at the UN over language about the human rights of LGBT people started making sense. It was a different level of activism.

Secretary-General Ban Ki-moon passed by when we were sitting in the lobby of the UN Headquarters in New York. I'd been talking to post-Soviet governments for days, sending them the text of declaration and asking them to sign it, explaining over and over why their support is crucial. Georgia and Armenia signed the declaration.

A half dozen other post-Soviet countries gave me ambiguous "we are waiting for a response from the capital"-type responses. Some people from post-Soviet missions expressed their sympathy: "well, you understand that our country has its traditions". Kazakhstan and Turkmenistan ended up signing a counter-declaration prepared by the Organization of Islamic Conference. The counter-declaration urged "all Member States, the United Nations system, and non-governmental organizations to continue to devote special attention and resources to protect the family as 'the natural and fundamental group unit of society' in accordance with article 16 of the Universal Declaration of Human Rights."

The rhetoric of the statement sounded so familiar. I had heard it at every campus we visited on the Equality Ride. Special attention to families, but no special attention to people who may be sentenced to death or attacked on the street or take their own life because they cannot reconcile their faith with their identity. The SO/GI Declaration called for decriminalization of same-sex relations and recognition that people's human rights are violated because of their sexual orientation and/or gender identity. It was inspiring that sixty-six countries signed it, yet there is a long way to go. I want to continue down this path peacefully and persistently, engaging in dialogue and raising awareness of the fact that LGBT people are human beings and are entitled to human rights.

Anna Kirey

აივ ინფექცია/შიდსის ეპიდსიტუაცია საქართველოში

HIV/AIDS situation in Georgia

ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში, დიდი პრობლემის წინაშე დადგა, მედიცინაში ახალი ცნება შემოიჭრა: "აივ ინფექცია/შიდსი". დაავადება, რომელმაც კაცობრიობა დილემის წინაშე დააყენა: გადარჩენა თუ ადამიანთა მოდგმის დასასრული? პანიკა საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა, რომ ერთი მხრივ, დაეთრგუნა და სტრესში ჩაეგდო სა ზოგადოება და ამავე დროს სტიმული მიეცა დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებისთვის. დღეისათვის, აივ ინფექცია უკვე მართვადი, ქრონიკული დაავადებების ნუსხაშია შესული, ჩამოყალიბდა და კოორდინირდა მსოფლიო მასშტაბით ყველა ის ძალისხმევა, რომელმაც უნდა შეაჩეროს პანდემია და ხელი შეუწყოს ინფიცერებულთა მკურნალობას, ზედამხედველობას და მხარდაჭერას. პანიკამ გადაიარა, მაგრამ, ამ ინფექციის მიერ, 25 წლის განმავლობაში დატოვებული კვალი მძიმე დაღად დააჩნდება კაცობრიობის განვითარების ისტორიას.

გადავხედოთ არსებულ სტატისტიკას:

2007 წლის დეკემბრის მონაცემებით (WHO, UNAIDS), მსოფლიოს მასშტაბით 30-36 მილიონი ინფიცირებული ადამიანი ცხოვრობს, მათგან 2 მილიონზე მეტი ბავშვი (15 წლამდე ასაკი), სულ ინფექციის რეგისტრირებიდან დღემდე დაიღუპა 20 მილიონზე მეტი. მარტო 2007 წლის განმავლობაში, რეგისტრირებულია 2,2-3,2 მილიონი ადამიანი, 2 მილიონი დაიღუპა.

2008 წლის 12 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში (ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის მონაცემები) რეგისტრირებულია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირების 1825 შემთხვევა, აქედან 1372 — მამაკაცი და 453 - ქალია. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 35 წლამდეა. 402 უკვე გარდაიცვალა. მკურნალობას იტარებს 487 პაციენტი.

რეგისტრირებულ პაციენტთა გამოკითხვით დადგენილი სავარაუდო გადაცემის გზების დაფიქსირებით, შესაძლებელი გახდა სტატისტიკურად აგვესახა შემთხვევათა განაწილება გადაცემის გზების მიხედვით:

In the early 1980s, a heretofore unknown medical term,"HIV infection/AIDS", posed a terrible threat to humankind. The panic that ensued caused immense grief and stress in society but at the same time, it served as a stimulus for measures to combat the illness. At present, HIV infection is listed among manageable chronic illnesses and, thanks to worldwide efforts and coordination, great strides have been made towards curbing this pandemic and treating, caring for and supporting those infected. The panic has subsided, but HIV/AIDS has left a powerful and destructive mark on human history.

Let us examine the current situation:

According to December 2007 data (WHO, UNAIDS), some 30-36m people worldwide are infected. Of this number over 2m are children (under age 15). Since the discovery of the disease to this day, more than 20m people have died. In 2007 alone, 2.2-3.2m new cases were registered and 2m died of AIDS.

According to the Georgian Centre for Infectious Pathologies, AIDS and Clinical Immunology, there are 1,825 cases of HIV infection in Georgia as of 12 December 2008. Of this number, 1,372 are men and 453 are women. Most infected people are between the ages of 29 and 35 years. A total of 402 people have died of AIDS in Georgia. 487 patients are currently undergoing treatment.

The following is the distribution of likely transmission ways among HIV/AIDS cases registered in Georgia, as determined through patient interviews:

59.5 % – ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელია (იგულისხმებიან ის მომხმარებლები, რომელთაც სხვისი არასტერილური ხელსაწყოების გამოყენების პრაქტიკა ჰქონდათ)

33.4 % – დაინფიცირდა ჰეტეროსექსუალური კონტაქტის შედეგად

2.7 % – ჰომო-/ბისექსუალური კონტაქტით (იგულისხმებიან მამაკაცები, რომელთაც სექსუალური კავშირი ჰქონდათ სხვა მამაკაცებთან)

2.4 % – დაინფიცირდა ვერტიკალური გადაცემის გზით (დედიდან შვილზე ორსულობის, მშობიაროზის ან ძუძუთი კვების დროს)

0.6 % – სისხლის რეციპიენტია (გადაუმოწმებელი სისხლის გადასხმით)

1.4 % – გადაცემის გზა დაუდგენელია

59.5 per cent are injecting drug users (have shared unsterilized needles with other users);

33.4 per cent were infected through heterosexual contact;

2.7 per cent contracted the virus through homosexual contact (men having sex with men);

2.4 per cent were infected by their mother (either in utero or from breastfeeding);

0.6 per cent contracted HIV through blood infusions;

1.4 per cent - cause of infection undetermined.

გრაფა №1 – შემთხვევების განაწილება ინფიცირების გზების მიხედვით

CHART #1 - DISTRIBUTION OF CASES ACCORDING TO TRANSMISSION ROUTE



ამ მხრივ, აივ ინფექციის გავრცელების თავისებურებანი ისეთივეა, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. დღემდე, შიდსის ვირუსის გავრცელების უპირველეს რისკ-ჯგუფს ინტრავენური ნარკომანები წარმოადგენენ. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ შიდსი მხოლოდ ნარკომანებს ემუქრებათ. პროცენტული თანაფარდობის თვალსაზრისით, შემთხვევათა 33.4% ჰეტეროსექსუალურ კონტაქტის შედეგადაა ინფიცირებული. ჰომოსექსუალური გზით დაინფიცირებულთა რიცხვი მხოლოდ 2,7% შეადგენს, რაც კიდევ ერთხ-

The distribution of transmission ways is similar to that elsewhere in Eastern Europe. In this region, the number one risk group remains intravenous drug users. Clearly, this does not mean that only drug users are at risk of HIV infection. In addition, fact that 33.4 per cent contracted HIV through heterosexual contact and only 2.7 per cent through homosexual contact serves once again to discount the myth that the spread of AIDS is a matter of concern only for a few select social groups.

ელ აბათილებს მითს, რომ შიდსის გავრცელება მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს უკავშირდება. შიდსის საფრთხე ყველას ემუქრება.

აივ-ინფექციის გავრცელების შედარებით დაბალი მაჩვენებლის მიუხედავად, საქართველო აივ/შიდსის ეპიდემიის პოტენციალურად მაღალი რისკის ქვეყანად ითვლება. ამას, ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებელთა მაღალი პროცენტის გარდა, აივ ინფექციის გავრცელების მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყანებში შრომითი მიგრაციის პროცესების ინტენსივობაც განაპირობებს.

აივ ინფიცირების ყველაზე მეტი შემთხვევა რეგისტრირებულია თბილისში (654 შემთხვევა), შემდეგ სამეგრელოში (291, აქედან ზუგდიდში 212), აჭარაში (253), იმერეთში (236), აფხაზეთში (90), ქვემო ქართლში (71), კახეთში (68), შიდა ქართლში (48), გურიაში (39), ფოთში (29), სამცხე-ჯავახეთში (26). სხვა რეგიონებში რეგისტრირებულია ერთეული შემთხვევები.

საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პირველი შემთხვევა გამოვლინდა 1989 წ. მართალია, საქართველოში ყოველწლიურად გამოვლენილი აივ ინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობა მცირეა, მაგრამ უკანასკნელ წლებში შეინიშნება ზრდის საკმაოდ მკვეთრი ტენდენცია.

2008 წელს (12.12.08) გამოვლინდა 338 ახალი შემთხვევა.

სულ საქართველოში გამოვლენილია 50 აივ ინფიცირებული ბავშვი, მათგან 31 – ვაჟი, 19 – გოგონა. (მხოლოდ 2008 წელს გამოვლინდა 12 შემთხვევა). 16 – გარდაიცვალა, 3 – გავიდა ქვეყნიდან; 23 იტარებს მკურნალობას.

შემთხვევების განაწილება ინფიცირების გზების მიხედვით:

რიცხვები შემაშფოთებელია, მაგრამ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენთაგანის ძალისხმევა ამ დაავადების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში. გავუფრთხილდეთ ჩვენს თავს და ჩვენთვის ახლობელ ადამიანებს.

(იხილეთ გრაფიკი №2)

ბლოკები:
რა გზებით გადაეცემა აივ-ი?

- დაუცველი (უპრეზერვატივო) სქესობრივი კონტაქტით (ვაგინალური – საშოში, ორალური – „მინეტი“, ანალური – უკანატანში);
- სისხლის კონტაქტით – შეუმოწმებელი სისხლის გადასხმა, სხვისი შპრიცის, ნემსის, საპარსის, კბილის ჯაგრისის, არასტერილური სამედიცინო ან კოსმეტოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენება და სხვ;
- დედიდან შვილზე ორსულობისას, მშობიარობისას ან ძუძუთი კვებისას.

Everyone is at risk of contracting HIV/AIDS.

Despite the relatively low rate of the spread of HIV infection here, Georgia is still considered to be a country potentially at a high risk of an HIV/AIDS epidemic. This is because of both the high number of intravenous drug users and Georgians' tendencies to migrate to countries where the risk of infection is higher.

The largest number of HIV infections is registered in Tbilisi (654 cases), then comes Samegrelo (291 cases, 212 of which are in Zugdidi), Ajaria (253 cases), Imereti (236 cases), Abkhazia (90 cases), Kvemo Kartli (71 cases), Kakheti (68 cases), Shida Kartli (48 cases), Guria (39 cases), Poti (29 cases) and Samtskhe-Javakheti (26 cases). The remaining cases are distributed throughout the country's other regions.

The first case of HIV/AIDS was registered in Georgia in 1989. While the number of newly registered cases of infection on a yearly basis in Georgia is not high, there has been a sharp increase over the past few years.

In 2008 (12 December figures), 338 new cases were registered [this contradicts the chart above].

Across Georgia, a total of 50 children (31 boys and 19 girls) have been infected with HIV/AIDS. Twelve of these cases were registered in 2008 alone.

Of these 50 children, 16 have died so far, three have left the country and 23 are undergoing treatment.

DISTRIBUTION OF CASES ACCORDING TO TRANSMISSION ROUTE:

The numbers are disturbing, but they show once again just how important it is for each and every one of us to take measures to fight the spread of this disease. Let's take care of ourselves and those we love.

(see chart #2)

Q&A:
HOW IS HIV TRANSMITTED?

-Through unprotected sexual contact (vaginal, oral or anal);

-Through blood contact: transfusion of infected blood, sharing syringes, razors, toothbrushes; using unsterilized medical or cosmetological instruments;

- Mother-to-child transmission: in utero infection or through breastfeeding.

HOW IS HIV NOT TRANSMITTED?

- By holding hands with an infected person;
- Through sweat or tears;

როგორ არ გადაეცემა აივ-ი?

- ხელის ჩამორთმევისას;
- ოფლით ან ცრემლებით;
- დახველების ან დაცემინებისას;
- საერთო ჭურჭლის ან თეთრეულის გამოყენებისას;
- საერთო აბაზანის ან ტუალეტის გამოყენებისას;
- საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობისას;
- ცხოველის ან მწერის ნაკბენით;
- კოცნით, ხელის ჩამორთმევით და სხვ.

როგორ შეიძლება დავიცვა თავი აივ-ისგან?

თუ იცი, როგორ გადაეცემა აივ-ი, მისგან თავის დაცვას შეძლებ.

შენ შეგიძლია, მიიღო გადაწყვეტილება, იყოლიო მხოლოდ ერთი, ერთგული პარტნიორი. თუ შენ არ შეგიძლია, წარმოიდგინო ცხოვრება სექსის გარეშე და არ გყავს მუდმივი პარტნიორი, მაშინ გამოიყენე პრეზერვატივი, რომელიც დაგიცავს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისგან.

- Caughing and sneezing;
- Sharing silverware or bedding;
- Sharing a bath or toilet;
- While using public transport;
- Animal or bug bites;
- Through kissing, shaking hands, etc.

HOW CAN WE PROTECT OURSELVES FROM HIV?

If you know how HIV is transmitted, you will be able to protect yourself from it.

You can decide to have only one loyal sexual partner. If you cannot imagine life without sex and you don't have a stable partner, then you should use a condom to avoid contracting sexually transmitted infections.

გრაფიკი №2 – დაინფიცირების შემთხვევების რაოდენობა საქართველოში წლების მიხედვით

CHART #2 - NUMBER OF NEW CASES OF HIV/AIDS INFECTION REGISTERED IN GEORGIA BY YEAR



მასალა მომზადებულია საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის "თანადგომის" მიერ

This material was prepared by the Tanadgoma medical-psychological information centre.

ინტერვიუ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისარ თომას ჰამარბერგთან

Interview with Thomas Hammarberg, Council of Europe Commissioner for Human Rights

თომას ჰამარბერგი კომისრის თანამდებობაზე მოვალეობის შესრულებას 2006 წლის აპრილიდან შეუდგა. მანამდე იგი იყო "საერთაშორისო ამნისტიის", "გადავარჩინოთ ბავშვების" შვედეთის განყოფილებისა და ოლოფ პალმის საერთაშორისო ცენტრის გენერალური მდივანი. იგი აგრეთვე იყო შვედეთის მთავრობის ელჩი ჰუმანიტარულ საკითხებში. გარდა ამისა იგი იყო გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კამბოჯაში ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებით და გაეროს ბავშვთა უფლებების პირველი კომიტეტის წევრი. თომას ჰამარბერგი იყო გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის მრჩეველი ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხებში. როგორც ყოფილი ჟურნალისტსა და პედაგოგს მას მრავალი პუბლიკაცია ეკუთვნის ადამიანის უფლებების სხვადასხვა სკაითხზე და დღემდე რეგულულად აქვეყბნებს საკუთარ მოსაზრებებს.

Thomas Hammarberg is the Council of Europe Commissioner for Human Rights since April 2006. Previously he has held positions as Secretary General of Amnesty International, Swedish Save the Children and the Olof Palme International Center. As ambassador he advised the Swedish government on human rights issues. He has also served as the Special Representative of the UN Secretary General for Human Rights in Cambodia. Other UN tasks have included membership in the first UN Committee on the Rights of the Child. Furthermore, he has acted as Regional Adviser for Europe, Central Asia and the Caucasus of the UN High Commissioner for Human Rights. Being a former journalist and teacher he has published widely on various human rights issues and continues to write a personal Viewpoint every fortnight.

მე: **ბატონო კომისარო, თქვენი მუშაობა განსაკუთრებით დასაფასებელია ევროპული ლგბტ მოძრაობის მხრიდან იმის გამო, რომ ასე გაბედულად აყენებთ ლგბტ ადამიანის უფლებებს ევროსაბჭოს დღის წესრიგში. გვითხარით, რა ცვლილებები გაიარა ევროსაბჭომ ბოლო წლების განმავლობაში, რამაც ასეთი მოქმედების საშუალება მოგცათ?**

თჰ: ჩვენი აპარატი დამოუკიდებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პრეროგატივაა ადამიანის უფლებების იმ სტანდარტების წინ წამოწევა, რომლებზეც ევროსაბჭო შეთანხმდა, იქნება ეს ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია თუ ევროპის სოციალური ქარტია. ჩემთვის ნათელია, რომ სექსუალური ორეინტაციისა და გენდერული იდენტობის ნიადაგზე დისკრიმინაცია მიუღებელია. სამწუხაროა, რომ ამ ელემენტარული საკითხის გააზრებას ამდენი დრო დასჭირდა.

მე: **როგორ ფიქრობთ, რა ფორმით აისახება თქვენი მუშაობა ზოგადად ევროსაბჭოზე? ჩანს თუ არა იმის ნიშ-**

ME: Mr. Commissioner, your role is seen as exceptional within the European LGBT movement in terms of how courageously you bring up LGBT issues at the Council of Europe. What has changed within the Council of Europe that has enabled you to bring issues up so much more boldly compared with a few years ago?

TH: As our office is independent, it can more easily build on and put forward the human rights standards that are agreed upon in the Council of Europe, be that the European Convention on Human Rights or the European Social Charter. It is for me quite obvious that discrimination based on sexual orientation or gender identity is unacceptable. It is sad that it has taken a long time to be seen as obvious.

ME: How do you think your input can be imprinted on the Council of Europe's work? Are

ნები, რომ თქვენს მიერ წამოწეულ საკითხებს ევროსაბჭო უფრო სისტემურ მუშაობას დაუკავშირებს?

თჰ: ამ საკითხში ყველაზე მნიშვნელოვანია სტრასბურგის სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის ინტერპრეტირება. ამ მხრივ მრავალი პოზიტიური გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომლეთა შორისაც აღსანიშნავია უახლესი გადაწყვეტილება დაუქორწინებელი მოქალაქის ბავშვზე მეურვეობის უფლებასთან დაკავშირებით **(E.B. v. France)**. ამ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მზადყოფნა აღეზარდა ბავშვი ამ უკანასკნელის სასიკეთო ინტერესების გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ გადამწყვეტი პირობაა საერთაშორისო საკანონმდებლო ინსტრუმენტების მიხედვით – არ იყო დარღვეული. ფრანგულმა სასამართლომ კი თავის უარში შვილად აყვანის უფლება მიეცა განმცხადებლისათვის ხაზი გაუსვა ისეთ გარემოებას, როგორიც იყო ამ უკანასკნელის სექსუალური ორიენტაცია, ეს კი კონვენციის ფარგლებში დაუშვებელია. ეს მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. არსებობს სხვა მსგავსი გადაწყვეტილებებიც და განხილვის პროცესში მყოფი განცხადებებიც, თუმცა, კიდევ ბევრი ასეთი გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ სრულებით ცხადი იყოს – სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა არ უნდა ხდებოდეს დისკრიმინაციის საფუძველი. ეს გადაწყვეტილებები განაპირობებენ ევროსაბჭოს ოფიციალურ პოზიციას. რაღა თქმა უნდა, ამ მომენტის დადგომამდე მე ძველებურად განვაგძობ მუშაობას.

თომას ჰამარბერგი, ფოტო: ჟურნალი "მე"

Thomas Hammarberg, Photo by ME Magazine

there signs that Council of Europe is addressing issues raised by your office in a more systematic way?

TH: Most crucial in this case is the interpretation of the European Convention on Human Rights by the Court in Strasbourg. There are number of positive rulings and the last one was in relation to the French case on adoption of a child by an unmarried individual (E.B. v. France). In this case the Court noted that, whereas the applicant's aptitude for bringing up children - which were in the child's best interests, a key notion in the relevant international instruments was not challenged– the domestic authorities, in rejecting the application for authorisation to adopt, made a distinction based on considerations regarding her sexual orientation, a distinction which is not acceptable under the Convention. That judgment was an important one. There were a number of other rulings as well as pending cases. We still need some further decisions by the court that will make absolutely clear that sexual orientation and gender identity can never be accepted as grounds for discrimination. These judgments reinforce the Council of Europe's official position. And of course I will continue my work in this direction until then.

ME: It is a very difficult time for Georgia right now and this is discussed a lot on the European level. We feel that social phobias are becoming more severe in this situation. Do you think that external threats can be an excuse for undermining the rights of social minorities? When a country is at war, is it time for a break in defending the rights of LGBT people?

TH: In fact, in a situation of crisis with the security of a nation and in an economic crisis, it is even more important to continue watching the treatment of minorities and those who traditionally tend to be discriminated against. Because in the crisis situation there is a risk that certain groups of society will be scapegoated. So I would say the opposite – it is important to remain on watch both on the national level as well as by international agencies to ensure that scapegoating or discrimination does not take place. Security concerns and economic crisis is not a justification for discrimination.

ME: The Georgian Ombudsman's office has given us certain assurances that it is willing to cooperate with us, but they always have prob-

მე: საქართველო რთულ პერიოდს გადის, რაც არაერთხელ გახდა ევროპულ დონეზე დისკუსიის საბაბი. ასეთ სიტუაციაში სოციალური ფობიების გამძაფრება აღინიშნება. რამდენად შეიძლება ასეთმა სიტუაციამ გაამართლოს სოციალური უმცირესობების უფლებების დაუცველობა? როდესაც ქვეყანა საომარ მდგომარეობაში იმყოფება, უპრიანია თუ არა ადამიანის უფლებების დაცვის შესუსტება?

თჰ: სინამდვილეში, სწორედ ისეთ სიტუაციებში, როგორიცაა ეროვნული უსაფრთხოებისა თუ ეკონომიური კრიზისი, მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ტრადიციულად დისკრიმინირებულ ჯგუფებს. ასეთ სიტუაციებში დიდი რისკი არსებობს, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი განტევების ვაცის ძიებას დაიწყებს. ასე რომ საპირისპიროს ვიტყოდი — მნიშვნელოვანია განვაგრძოთ მუშაობა, როგორც ეროვნულ დონეზე, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ განტევების ვაცის ძიებასა და დისკრიმინაციას ადგილი არ აქვს. უსაფრთხოების საფრთხეები და ეკონომიკური კრიზისი არ უნდა იყოს დისკრიმინაციის გამართლება.

მე: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არაერთხელ გამოუთქვამს ჩვენთან თანამშრომლობის მზადყოფნა, თუმცა პოლიტიკურ დონეზე ეს მზადყოფნა რატომღაც ქრება ხოლომე. ჩვენ უფლებადარღვევის რამდენიმე საქმე მივაწოდეთ სახალხო დამცველის აპარატს, საბოლოოდ კი არც ერთი მათგანი არ იქნა შეტანილი პარლამენტისთვის განკუთვნილ ანგარიშში. თქვენი ოფისი თანამშრომლობს ევროსაბჭოს ქვეყნების ომბუდსმენებთან. რა აზრის ხართ ამგვარ მოქმედებაზე და რას ურჩევდით ქვეყნის მასშტაბით ადამიანის უფლებების დამცველებს?

თჰ: ყველა ქვეყნის ომბუდსმენი უნდა აკვირდებოდეს ადამანის უფლებების მდგომარეობასა და დისკრიმინაციის სემთხვევებს ქვეყანაში და საკუთარი პოზიციაც უნდა დააფიქსიროს. ეს ის რჩევა და გამოწვევაა, რომელსაც ჩვენ მათთან შეხვედრისას ვუზიარებთ. რაც შეეხება საქართველოს სახალხო დამცველს, ამ საკითხებს მის წარმომადგენლებთან მომავალი შეხვედრებისას წამოვწევ.



თომას ჰამარბერგი. ფოტო: ჟურნალი "მე"
Thomas Hammarberg. Photo by ME Magazine

lems bringing the issue to a political level. We have reported numerous cases of discrimination against LGBT people but none of them have been reflected in the ombudsman's human rights reports to parliament. Your office has cooperated with ombudspersons across the region. What is your observation in this regard and what is your wish for national human rights institutions?

TH: It is important that Ombudsmen in all countries act as an independent watchdog, also over cases of discrimination and take their positions on these cases. This is an encouragement that I give to them when we talk and I will also discuss that with the Georgian Ombudsman's staff at one of my upcoming meetings.

ესაუბრა პაატა საბელაშვილი

Interview conducted by Paata Sabelashvili

ინტერვიუ ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოს დირექტორთან მორტენ ქერუმთან

Interview with Morten Kjaerum, director of the EU Fundamental Rights Agency

მორტენ ქერუმი 17 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა დანიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტს და იმავდროულად იყო ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული ორგანიზაციების საერთაშორისო ქსელის პრეზიდენტი. იგი აგრეთვე იყო გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის წევრი 6 წლის განმავლობაში. მორტენ ქერუმი ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოს დირექტორია.

Mr Kjaerum was director of the Danish Institute for Human Rights for 17 years. At the same time he was president of the international network of national human rights organizations. He also served on the UN Committee on Elimination of Racial discrimination for six years. He is now director of the EU Fundamental Rights Agency.

მე: ბატონო ქერუმ, ევროკომისიამ გამოაცხადა დირექტივა, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში კრძალავს დისკრიმინაციას ნებისმიერ ნიადაგზე, რითაც მოქალაქეების დისკრიმინაციისგან დაცვას დასაქმების სფეროს მიღმა აფართოვებს. რით ახსნით, რომ აქამდე არ არსებობდა ასეთი სახის დირექტივა, რომ ადამიანის დაცვა ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან თანაბრად ყოფილიყო შესაძლებელი?

MK: In the EU, the general provision on discrimination came with Article 13 of the Treaty of Amsterdam. These provisions were further developed into the two directives – about race and employment. If we look at the position of gays and lesbians, their discrimination is not covered in the general directive but only in the employment directive. Everything beyond employment is not covered by the existing regulations, so the new directive is an attempt to bridge this gap. This directive covers all grounds of discrimination by eliminating the strange type of hierarchy between different grounds.

მძ: დისკრიმინაციისგან დაცვის ზოგადი საჭიროება ამსტერდამის ხელშეკრულების 13-ე მუხლის შესაბამისად წარმოიშვა. ამ საჭიროებების შემდგომ ეტაპზე ფორმულირება იყო 2 დირექტივის მიღება რასისა და დასაქმების შესახებ. გეებისა და ლესბოსელების დაცვა – ზოგადი დირექტივებით არ ხდება, მხოლოდ დასაქმების თაობაზე მიღებულ დირექტივითაა განსაზღვრული. ნებისმიერი სხვა საკითხში, რომელიც დასაქმების სფეროს სცილდება, ამ დირექტივის გამოყენება შეუძლებელია. სწორედ ამ ხარვეზის გასასწორებლად იქნა გამოცხადებული ახალი დირექტივა. ახალი დირექტივა დისკრიმინაციის ყველა სფეროს მოიცავს და ამით სხვადასხვა სფეროებს შორის არსებულ უცნაურ იერარქიულობას უსმევს წერტილს.

მე: ამ დირექტივის კომისიის მიერ გამოცხადებამდე დებატები მიმდინარეობდა ორი სხვადასხვა ვარიანტის თაობაზე. ერთ-ერთ მათგანს პირობითად ჰორიზონტალური დირექტივა უწოდეს, ვინაიდან იგი

ME: Mr Kjaerum, the EC launched the directive to prohibit discrimination in EU member states on all grounds, thus advancing EU protection from discrimination beyond employment. How would you comment on the absence of these measures of protection from discrimination on all grounds equally?

MK: There was a clash between two the different approaches. The more traditional approach deals with all types of discrimination such as gender identity or sexual orientation and other grounds for discrimination separately. In this case we do not see them linked. In contrast with this old school approach, we have a new and prevailing one that seeks to establish links between these various grounds of discrimination. So this is the approach

ME: There was ongoing debate about the two concurrent versions of the directive to be launched. One was called a horizontal directive. It covered all grounds of discrimination and the second one only included disability.

დისკრიმინაციის ყველა ნიადაგს მოიცავდა. მეორე ვარიანტი კი მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის იყო განკუთვნილი.

მქ: ეს იმის გამო მოხდა, რომ არ არსებობდა თანხმობა მიდგომასთან დაკავშირებით. ტრადიციული მიდგომით დისკრიმინაციის ყველა ფორმა, მაგალითად გენედერული იდენტობისა და სექსუალური ოიენტაციის მიხედვით და სხვა ტიპის დისკრიმინაცია ცალ-ცალკე განიხილება. ამ შემთხვევაში მათ შორის კავშირია დარღვეული. ამ ძველი სკოლისეული მიდგომისგან განსხვავებით, არსებობს აგრეთვე თანამედროვე და დომინანტური მიდგომაც, რომელიც დისკრიმინაციის ყველა საფუძველს აერთიანებს. ეს სწორედ ის მიდგომაა, რომლის მიხედვითაც არჩევანი ჰორიზონტალურ დირექტივაზე შეჩერდა.

მე: რა მოლოდინი არსებობს წევრი სახელმწიფოების მიერ ამ დირექტივის მიღებასა და მის ეროვნულ კანონმდებლობებში დამკვიდრებისთან დაკავშირებით?

მქ: დირექტივების განხორციელება სხვადასხვა დონეზე ხდება. ამ საკითხით ჩვენი სააგენტო დაფუძნების დღიდან არის დაკავებული. სწორედ ესაა ჩვენი საქმე, რომ დავაკვირდეთ რამდენად ასრულებენ წევრი სახელმწიფოები აღებულ ვალდებულებებს და როგორ აისახება ეს მათ ეროვნულ კანონმდებლობაზე.

მე: ბატონო ქერუმ, ევროკავშირი ჩართულია რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარე სამშვიდობო პროცესში. საქართველო ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის სურვილს გამოთქვამს. პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ საქართველოს ამ სტრუქტურებში ინტეგრაცია დამოკიდებული იქნება არსებული კონფლიქტების მოგვარებაზე. როგორ აფასებთ ადამიანის უფლებების როლს ამ პროცესებთან მიმართებაში?

მქ: მშვიდობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებისა და მის ევროკავშირთან დაახლოებაში. თუმცა, ძირითადი ევროპული ღირებულებებისა და ზოგადად დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება ყველაზე აუცილებელი კრიტერიუმია. რაც მთავარია ამ ფასეულობებზე საუბარი არაფერს ნიშნავს — მთავარია მათი დამკვიდრება. ამ კონტექსტში კი, უმცირესობების უფლებების გათვალისწინება მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოება, სწორედ ამ პროცესის მიხედვით მოხდება.

ესაუბრა პაატა საბელაშვილი

that supports adoption of the horizontal directive.

ME: What is the projection about how member states will take up this proposal and how they will endorse it in their national legislation?

MK: There are different levels of implementation of directives. This issue has been addressed by our agency since its foundation. We are to determine how the member states are complying with their obligations and how this is manifested in their domestic legislation.

ME: Mr. Kjaerum, the EU has become involved in the peace process between Georgia and Russia. Georgia very much wants to integrate with European and Euro-Atlantic institutions. Politicians have been stressing that the resolution of conflicts will determine the process of Georgia's integration. Where do human rights come into this discourse?

MK: Peace is important for development and coming closer to the EU. However, it is an unavoidable step to implement core EU values, and democratic values in general. And it is not enough to speak about these values - implementing them is crucial. And in this context, the inclusion of minority groups is very important. How these processes develop essentially determines the grounds for coming closer to the EU.

Interview conducted by Paata Sabelashvili

მორტენ ქერუმი. ფოტო: ჟურნალი "მე"
Morten Kjaerum, Photo by ME Magazine

ემანსიპაცია, როგორც პოლიტიკური პროცესი

Emancipation as a political process

სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, 90-იანი წლებიდან ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში. ევროპული ქვეყნების დიდმა ნაწილმა არათუ გააუქმა დისკრიმინაციული კანონები, არამედ შეიმუშავა ახალიც – ერთსქესიანი პარტნიორობის, ქორწინებისა თუ შვილად აყვანის შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ ანტიდისკრიმინაციულ აქტებზე. ამ ცვლილებებს წინ ლგბტ ორგანიზაციების მრავალწლიანი ბრძოლა უძღვის თანასწორუფლებიანობისათვის, რომელიც დღესაც გრძელდება.

ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში, სადაც სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების მოთხოვნა თავად საზოგადოების წევრებისაგან მოდის, სახელმწიფო მხოლოდ ამ დაკვეთის შემსრულებლად გვევლინება. ხოლო ქვეყნებში, რომლებიც მოგვიანებით მიუერთდნენ ევროკავშირს, ან მიისწრაფვიან ამისაკენ, როგორც წესი, დეკლარირებულ ფასეულობებთან კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროსაბჭოს სხვადასხვა რეკომენდაციების საფუძველზე ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლის ქვეშ ხდება. ამგვარად, ნებით თუ უნებლიედ, გადამწყვეტ როლს უმცირესობათა დაცვის საქმეში სახელმწიფო ასრულებს, რომელსაც წინ მიჰყავს საზოგადოება და ქვეყანა. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ლგბტ უფლებებისათვის ბრძოლა ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან განსხვავებულ სტრატეგიებსა და ტაქტიკას მოითხოვს. თუმცა, სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივობის მდიდარი გამოცდილება, რომელიც ლგბტ მოძრაობის არცთუ ისე დიდი ისტორიის განმავლობაში დაგროვდა, მნიშვნელოვანია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედი ორგანიზაციისათვის.

ჟურნალის მოცულობა საშუალებას არ იძლევა სრულად განვიხილოთ ლგბტ მოძრაობის ისტორიის ყველა ასპექტი, ამიტომაც სტატიაში ძირითადად მოძრაობის დაწყების წინაპირობითა და პოლიტიკური აქტივობით შემოვიფარგლეთ, აქცენტი კი ამერიკაზე ავიღეთ, სადაც ლგბტ მოძრაობა ყველაზე უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი იყო.

In terms of legislation, the situation for LGBT people sharply improved in Western Europe and the USA in the 1990s. Many European countries not only annulled discriminatory legislation, they also passed new laws allowing same-sex partnership, marriage and adoption, to say nothing of anti-discriminatory legislation. These changes came about thanks to the battle for equality that LGBT rights organizations have been waging for years.

In contrast to European countries and the USA - where the demand for social and political changes has come from members of society themselves and the state merely carries out their will – for countries which acceded the EU relatively late or still aspire to join, the changes needed to bring local legislation into line with EU values are generally implemented on the basis of Council of Europe recommendations or under pressure from international organizations. Therefore, in such cases, the state plays the decisive role in protecting the rights of minorities and leads the country forward in this respect. Given this context, the battle for LGBT rights demands that local organizations pursue different strategies and tactics based on their location. However, the rich experience of civic and political activism which the LGBT movement has acquired over its short history is still relevant for organizations wherever they operate.

Restrictions of space prevent us from completely covering all aspects of the history of the LGBT movement, so this article will confine itself mainly to discussing how the movement developed early on, placing a special focus on the USA, where the LGBT movement was the most diverse and the biggest in scope.

BEGINNINGS OF THE HOMOPHILE MOVEMENT

German researcher Magnus Hirschfeld (1868-1935), one of the founders of the Institute for Sexual research (Institut für Sexualwissenschaft), is widely regarded as a pioneer in the battle for gay rights. Hirschfeld first touched on gayness as a manifestation of human sexuality in his 1886 essay “Sappho

ჰომოფილიური მოძრაობის დასაწყისი

გეების უფლებებისათვის ბრძოლის პიონერად სექსუალური მეცნიერებათა ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი მაგნუს ჰირშფელდი მიიჩნევა. 1886 წელს გამოქვეყნებულ ესეში "საფო და სოკრატე", ჰირშფელდი პირველად შეეხო ჰომოსექსუალობას, როგორც ადამიანის სექსუალობის ერთ-ერთ გამოვლინებას და ამდენად, მეცნიერული კვლევის საგანს. თანამოაზრეებთან ერთად, 1887 წელს ჰირშფელდი ქმნის "სამეცნიერო-ჰუმანიტარულ კომიტეტს", რომელიც გეების უფლებათადამცველი პირველი ორგანიზაციაა ისტორიაში. ფართო საგანმანათლებლო მუშაობის გარდა, კომიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს „175 პარაგრაფის"[1] გაუქმება წარმოადგენდა. ჰირშფელდის პეტიცია რაიხსტაგმა მისი გამოქვეყნებიდან მხოლოდ 25 წლის გასვლის შემდეგ, 1922 წელს მიიღო განსახილველად, თუმცა, უარი თქვა კანონში სათანადო ცვლილებების შეტანაზე.

არსებული კანონის მიუხედავად, იმ პერიოდისათვის ვაიმარის რესპუბლიკაში გეი საზოგადოება საკმაოდ თავისუფლად გრძნობდა თავს. ინფორმაცია ლგბტ საზოგადოების შესახებ თავისუფლად ვრცელდებოდა პრესის მეშვეობით. ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლამდე, ბერლინი ევროპის გეი დედაქალაქის რეპუტაციით სარგებლობდა. განვითარების თვალსაზრისით, ეს პერიოდი მნიშვნელოვანი იყო ლესბოსური სუბკულტურისთვისაც.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, გერმანიის პოლიტიკური სპექტრი მკვეთრად პოლარიზებული გახდა. ლიბერალებმა, რომელთაც არ გააჩნდათ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის მყარი გეგმა, მარცხი განიცადეს. ქვეყნის სათავეში ნაცისტები მოვიდნენ.

სამწუხაროდ, გერმანია ერთადერთი ქვეყანა არ აღმოჩნდა ევროპაში, სადაც ტოტალიტარულმა იდეოლოგიამ გაიმარჯვა. ტოტალიტარული რეჟიმებისათვის დამახასიათებელი დამოკიდებულება "განსხვავებულობის" მიმართ, მრავალი ადამიანისათვის ტრაგიკული აღმოჩნდა. გერმანიასა და საბჭოთა კავშირში კი ჰომოსექსუალთა დევნა-შევიწროვებამ უპრეცედენტო მასშტაბები მიიღო.[2] მეორე მსოფლიო ომის დასასრულს ჰომოსექსუალები ერთ-ერთ ყველაზე უუფლებო, მოწყვლად სოციალურ ჯგუფს წარმოადგენდნენ.

მეორე მსოფლიო ომიდან სტოუნვოლამდე

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი დასავლური ცივილიზაციის პოლიტიკურსა და სამართლებრივ მოდერნიზაციის პროცესში ახალი ერის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს. ცივილიზებულმა საზოგადოებამ კარგად გააცნობიერა, თუ რას უქადის მსოფლიოს ანტილიბერალიზმი. გაეროს წესდებაში გაცხადებული ადამიანის უფლებები, ადამიანის პიროვნული ღირსება და ფასეულობა, ქა-

დიანა დეივისი. მასშტაბით თსიმს სქვერზე, ნიუ იორკი. 1969
Diana Davies, march on Times Square, New York City, 1969

and Socrates". Together with a group of like-minded people, he established the Scientific Humanitarian Committee, the first ever gay rights organization in world history, in 1887. Aside from its broad scholarly activity, one of the main aims of the committee was to achieve the repeal of "Paragraph 175"[1] . Hirschfeld published a relevant appeal to the Reichstag in 1897, though it was accepted for consideration only 25 years later, in 1922. The legislative body then refused to enter changes into the law.

In spite of this discriminatory provision, the gay community in Weimar Germany felt relatively at ease. Information about gay issues was freely disseminated through the press and, until the Nazis came to power, Berlin enjoyed the reputation of Europe's most gay-friendly city. This period was also significant in terms of the development of a lesbian subculture.

After suffering defeat in World War I, the German political spectrum became sharply polarized. The liberals, who did not have a clear plan for delivering the country from crisis, were defeated and the Nazis rose to power.

Unfortunately, Germany was not the only country where totalitarian ideology won out. Totalitarianism's traditionally hostile attitude towards those who are "different" had a devastating and tragic impact on many people. Oppression and persecution of LGBT people reached unprecedented levels in Germany and the Soviet Union.[2] By the end of World War II, homosexuals were one of the most repressed and vulnerable social groups in Europe.

FROM WORLD WAR II TO STONEWALL

The post-World War II period is widely regarded as the beginning of a new era in the political and legal modernization of Western civilization. Civilized soci-

ლთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობა და დიდი და პატარა ერების თანასწორობა ახალი მსოფლიო წესრიგის საფუძვლად იქნა მიჩნეული.

გეებისა და ლესბოსელების განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაიწყო ევროპასა და ამერიკაში, თავიდანვე მოიცავდა რამდენიმე განსხვავებულ მიმდინარეობას: მოძრაობა სექსუალური თავისუფლებისათვის, უფლებისათვის ყოფილიყავი განსხვავებული; პოლიტიკური მოძრაობა ლგბტ ჯგუფის გააზრებისა სოციალური უმცირესობად და შესაბამისად, ბრძოლა მათი თანასწორუფლებიანობისა და სამოქალაქო უფლებებისათვის; – იდეური მოძრაობა, რომელიც საზოგადოების ორგანიზების განსაზღვრული პრინციპებსა და სოციალურ-ზნეობრივი ფასეულობების შეცვლაზე აკეთებდა აქცენტს.

თითქმის ომის დამთავრებისთანავე, 1946 წელს, ჰოლანდიაში იქმნება ერთ-ერთი უძველესი ლგბტ ორგანიზაცია "სი-ოუ-სი ნედერლანდ" (COC Nederland). საზოგადოების სოციალური ემანსიპაციის პროცესში საკუთარი წვლილის შეტანისა გარდა, ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გეი და ლესბოსელი ადამიანებისათვის უსაფრთხო გარემოსა და თავისუფალი დროის გატარების ორგანიზება იყო, რაც იმ დროისათვის საკმაოდ პრობლემური გახლდათ. 1950 წელს ჰომოსექსუალთა უფლებების დამცველი ორგანიზაცია შვედეთში ფუძნდება (RFSL).

მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობა ინტერნაციონალური იყო, განსაკუთრებული გაქანება მან ამერიკაში მიიღო, დასავლეთის სამყაროს ყველაზედ მდიდარ და კულტურულად მრავალფეროვან ქვეყანაში, სადაც უკვე არსებობდა კულტურული და რელიგიური უმცირესობების უფლებებისათვის ბრძოლის ტრადიციები.

სტოუნვოლამდე

ომის შემდგომი ამერიკა რამდენიმე მძლავრი დემოკრატიული მოძრაობის არენა გახდა — ბრძოლა შავკანიანთა სამოქალაქო უფლებებისათვის, ქალთა მოძრაობა, ანტისაომარი მოძრაობა და სტუდენტური მოძრაობა. მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა მოძრაობას ქინსის კვლევების შედეგებმაც. ამ ყველაფერმა სხვაგვარად დაანახა გეებსა და ლესბოსელებს სიტუაცია და უბიძგა მათ საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლისაკენ.

პირველი ჰომოფილური მოძრაობა ამერიკაში 50-იან წლებში გაჩნდა. ჯგუფის დამფუძნებელი და ლიდერი ჰარი ჰეი, რომელიც აშშ-ს კომუნისტური პარტიის წევრიც იყო, თავდაპირველად ცდილობდა სექსუალური გათავისუფლების მოძრაობა მუშათა მოძრაობის მარქსისტულ იდეებთან დაეკავშირებინა. თუმცა, ამ იდეამ არ გაამართლა და რამდენიმე წელში, "მატაჩინების საზოგადოებას" მკვეety had learned firsthand what anti-liberalism has in store for the world. The human rights outlined in the UN Charter, the dignity and worth of the individual, the notion of equal rights for men and women and equality between large and small nations laid the foundation for a new world order.

The gay and lesbian liberation movement, which began in Europe and the USA after World War II, contained several different schools of thought since its inception. First and foremost, it was a movement for sexual freedom, for the right to be different; and secondly, it was a political movement to get LGBT people to view themselves as a social minority and fight for equal rights. Third, it was an ideological movement focused on changing the existing principles and social-moral values on which society is based.

Almost immediately after the World War II, in 1946, the Dutch organization COC Netherlands is formed to be the oldest active organization until now. Besides contributing to the emancipation of the society, one of its goals was to provide for the organization of safe leisure activities for gays and lesbians, that itself was a problematic issue back then. In 1950, Swedish organization is established as well (Swedish Federation for Lesbian, Gay, Bisexual and Transgender Rights, RFSL).

Though the movement was international, it gained particular steam in America, the richest and most culturally diverse country in the West, where there was a long tradition of fighting for the rights of cultural and religious minorities.

BEFORE STONEWALL

Postwar America became an arena for several powerful democratic movements – the fight for the civil rights of African-Americans, the women's movement, the anti-war movement and the student movement. This, coupled with the findings of Alfred Kinsey's research into human sexuality, allowed gays and lesbians to view their situation from a different angle and encouraged them to fight for their rights. The first US homophile organization, the Mattachine Society, was formed in the 1950s. The founder and leader of the group, Harry Hay – who was also a member of the US Communist Party – initially tried to link the sexual liberation movement with the Marxist ideals of the workers' movement. But his efforts to this end failed and a few years later, the Mattachine Society shifted its focus towards the total assimilation of gays and lesbians into so-

თრად ლიბერალური მიმართულება ჩამოუყალიბდა, რომლის მთავრ მიზანსაც გეებისა და ლესბოსელების სრული ასიმილაცია წარმოადგენდა „ყველა ამერიკული ფასეულობების მხარდაჭერისა და შენარჩუნების გათვალისწინებით“. შედეგად, საშუალო ფენის თვალით, მოძრაობამ უფრო რესპექტაბელური სახე შესძინა, თუმცა, მასობრივი ხასიათი დაკარგა.

ფორმალურად „მატაჩინების საზოგადოება“ გეების გარდა, ლესბოსელებსაც წარმოადგენდა, თუმცა, მასში მამაკაცები სჭარბობდნენ. ლესბოსელები სამართლიანად თვლიდნენ, რომ ასეთი ორგანიზაცია სათანადოდ ვერ ასახავდა და არ ითვალისწინებდა მათ პრობლემებს. 1955 წელს დელ მარტინისა და ფილის ლაიონის თაოსნობით დაარსდა პირველი ლესბოსური ორგანიზაცია ამერიკაში – „ბილიტისის ქალიშვილები“. „მატაჩინების საზოგადოების“ მსგავსად, მათი ორგანიზაცია მოძრაობის ლიბერალურ ფრთას ეკუთვნოდა.

60-იანი წლებიდან, დემოკრატიული მოძრაობის ზოგადი გაძლიერების ფონზე, გეებისა და ლესბოსელთა უფლებებისათვის ბრძოლამ უფრო რადიკალური ხასიათი მიიღო. მისი ახალი ლიდერი, ფრანკ კემენი ამტკიცებდა, რომ საზოგადოებისაგან გულმოწყალება კი არ უნდა ეთხოვათ, არამედ ებრძოლათ სამოქალაქო უფლებებისათვის სხვა უმცირესობებთან ერთად. ამგვარმა რადიკალიზმმა განხეთქილება გამოიწვია ჰომოფილიურ მოძრაობაში.

ლიბერალური ყაიდის ლიდერები, რომლებიც ცდილობდნენ საზოგადოება საკუთარ უწყინარობაში დაერწმუნებინათ, მეორე ფლანგზე აღმოჩნდნენ და თანდათან გაუჩინარდნენ. ახალი ლიდერები კი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ. რეგულარულად აწყობდნენ მიტინგებსა და საპროტესტო დემონსტრაციებს, არ ერიდებოდნენ პოლიციასთან შეტაკებასაც. 60-იანი წლების მიწურულს, დიდ ქალაქებში გეი-ლესბი მიოძრაობა იმ დროისათვის პოპულარულ ჰიპებისა და ბიტნიკების მოძრაობასთან გადაიკვეთა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მათი მასშტაბურობა.

ლიბერალურიდან რადიკალურ მოძრაობაზე გადასვლის სიმბოლურ ზღვარად სტოუნვოლის ამბოხია მიჩნეული.[3] ამ სტიქიურმა ბუნტმა გეებსა და ლესბოსელებს დაანახა, რომ მათ აქვთ ძალა, მაგრამ რეალური ცვლილებების მისაღწევათ უფრო ორგანიზებული და კოორდინირებული მოქმედება სჭირდებათ.

სტოუნვოლის შემდეგ[4]

1969 წელს, სტოუნვოლის ამბოხების შემდეგ, ნიუ იორკელმა აქტივისტებმა ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია, გეების განმათავისუფლებელი ფრონტი (Gay Liberation Front) დააარსეს, რომელმაც მოქმედების უფრო რადიკალურ გზა აირჩია. სულ მალე, ორგანიზაციები იმავე დასახელებით ამოქმედდა ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში.

ciety “with due consideration to the support and preservation of all American values”. As a result, the movement gained a more respectable image in the eyes of the middle class, though at the same time it lost its momentum.

Formally, the Mattachine Society included lesbians as well, though gay men predominated. Lesbians justifiably thought that such an organization would either not sufficiently take their interests into account or fail to do so. In 1955, Del Martin and Phyllis Lyon founded the first lesbian organization in America, the Daughters of Bilitis. Like the Mattachine Society, the organization was of an overall leftist nature.

In the 1960s, as liberal movements across the board were gaining strength, the battle for the rights of gays and lesbians became more radical. Mattachine’s new leader, Frank Kemeny, maintained that the movement should not politely ask society to take a kinder view, but rather fight for civil rights alongside other minorities. This radicalism later led to a schism in the homophile movement.

Liberal leaders who tried to convince society of their own inoffensiveness found themselves marginalized and they gradually became irrelevant as newer leaders en-

დიანა დევისი. დემონსტრაცია. ჯორჯ ვაშინგტონის ხიდი. ნიუ იორკი. 1973 წლის მაისი
Diana Davies, George Washington Bridge demonstration demonstration, New York, 1973 May

ში, კანადაში, დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიაში. GLF–მა დაარსებისთანავე დაიწყო პოლიტიკური მოკავშირეების ძებნა სხვა დისკრიმინირებულ ჯგუფებში, რომლებიც ასევე ბრძოლის რადიკალურ მეთოდებს მიმართავდნენ. რამდენიმე წელში, შიდა უთანხმოების გამო, ჯგუფმა შეწყვიტა არსებობა. GLF წევრთა ერთმა ნაწილმა ახალი ორგანიზაცია, "გეი აქტივისტების ალიანსი" (GAA) დააფუძნა, რომელიც მხოლოდ გეების უფლებებზე იყო ფოკუსირებული. GAA-მ გააერთიანა გეი მოძრაობის გამოცდილება და თანაბრად გადაანაწილა აქტივობა ხმის მიცემასა და ლობირებაზე.

ამ პოლიტიკური ორგანიზაციების სტრატეგია განსხვავებული და წინააღმდეგობრივი იყო. GLF-ის წევრები თვლიდნენ, რომ უფლებებისათვის ბრძოლა აუცილებელი იყო, თუმცა დაუშვებლად მიიჩნევდნენ გვერდი აევლოთ ამერიკულ საზოგადოებაში არსებული სხვა ფუნდამენტური პრობლემებისათვის – რასიზმისათვის, სექსიზმისათვის და სხვ.

მოძრაობის კრიტიკოსთა რიცხვში იყვნენ ლესბოსელი ფემინისტებიც (შარლოტა ბანჩი, რიტა მეი ბრაუნი, ადრიან რიჩი და სხვები, რომლებიც ითხოვდნენ არა მხოლოდ ქალების აბსოლუტურ ჩართულობას მოძრაობაში, არამედ შეიმუშავეს პოლიტიკური თეორია, რომლის მიხედვითაც სექსიზმისა და ჰომოფობიის ბაზისად საზოგადოების მოწყობის პატრიარქალური სისტემას, კოლონიალიზმსა და კაპიტალიზმს მიიჩნევდნენ.[5]

გეი მოძრაობა ახალ საფეხურზე გადავიდა და ორგანიზაციების წინაშე სხვა მოთხოვნები წააყენა. 1973 წელს დაფუძნდა გეებისა და ლესბოსელთა ნაციონალური სამუშაო ჯგუფი, (NGLTF), რომელმაც, ძალისხმევა, დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოფხვრასთან ერთად, ჰომოსექსუალობის დეპათოლოგიზაციისაკენაც მიმართა.[6] ისინი პირველები იყვნენ, ვინც ყურადღება გაამახვილა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებებზე სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე და მათი აღნუსხვა დაიწყო. „ადამიანის უფლებათა კამპანიასთან" ერთად (HRC), NGLTF დღემდე ერთ-ერთ ყველაზე რესპექტაბელურ და ანგარიშგასაწევ ლგბტ ორგანიზაციად ითვლება ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტისათვის. ორგანიზაციამ შეძლო ლგბტ აქტივისტთა ქსელის შექმნა ქვეყანაში. აქტიურ პოლიტიკაში მოსვლის მიზნით შეიმუშავეს სპეციალური პროგრამები ამომრჩევლებთან სამუშაოდ. ჰომოსექსუალ კანდიდატებს, რომლებიც საჯაროდ აღიარებდნენ საკუთარ ორიენტაციას საარჩევნო კამპანიის დაგეგმვასა და წარმართვაში ეხმარებოდნენ, ცდილობდნენ გაემყარებინათ კავშირები სხვა პოლიტიკოსებთანაც.

მოქმედების განსხვავებული ტაქტიკა აირჩია „კამპანიამ ადამიანის უფლებებისათვის" (HRC), რომელიც 1980 წელს

gaged in more radical activism. They regularly held rallies and protest demonstrations and did not avoid clashing with police. By the late 1960s, the gay and lesbian movement in large cities had largely merged with hippy and beatnik movements, which helped it expand even further.

The Stonewall riots of 1969 were a watershed of sorts for the gay rights movement, particularly in terms of the switch from gentle to radical tactics.[3] The rebellion showed gays and lesbians that they have power, but also illustrated the need for better organization and coordination in order to achieve real change.

AFTER STONEWALL[4]

In 1969, shortly after the Stonewall riots, New York LGBT activists founded a new political organization, the Gay Liberation Front (GLF), which chose a more radical path than some of its predecessors. Soon, local branches of the GLF sprang up across the USA, Canada, the UK and Australia. From its inception, the GLF sought to forge alliances with other groups that are subjected to discrimination which likewise pursued radical tactics. A few years later, however, the GLF disbanded due to internal bickering. Some members of the GLF then formed a new organization, the Gay Activists Alliance, which focused exclusively on gay rights. The GAA brought together the experiences of different facets of the gay movement and focused equally on get-out-the-vote campaigns and lobbying.

The GLF and GAA pursued differing and contradictory strategies. GLF members believed that it was necessary to fight for equal rights for LGBT people, though they found it inadmissible to avoid tackling other forms of discrimination like racism and sexism.

Among the critics of the organization were lesbian feminists (such as Charlotte Bunch, Rita Mae Brown and Adrienne Rich), who not only demanded the full involve-

დიანა დევისი Time-Life Building-ის პიკეტირებისას, ნიუ იორკი, 1969
Diana Davies picketing at the Time-Life Building, New York, 1969

ჩამოყალიბდა ლგბტ ადამიანების მიმართ ტოლერანტულად განწყობილი კონგრესმენი კანდიდატების მხარდასაჭერად. ორგანიზაცია ლობირებს კანონპროექტებს, რომელიც ხელს უწყობს ლგბტ ადამიანების სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და დისკრიმინაციისაგან დაცვას. ტოლერანტულად განწყობილი კანდიდატების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერის გარდა, ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს სამოქალაქო აქტივისტთა მობილიზაციაზე საარჩევნო პერიოდებში. ლგბტ საკითხებზე საჯარო პირებისა და პოლიტიკოსების გამონათქვამებსა და გადაწყვეტილებების მუდმივი მონიტორინგის საფუძველზე, ადგენს რეიტინგს, რომელიც ხელმისაწვდომია მათი ვებ-გვერდის მომხმარებლისათვის. ეს ეხმარება დაინტერესებულ პირებს გააკეთონ სწორი არჩევანი.

80-იანი წლების დასაწყისში დემოკრატების პლატფორმა უკვე ითვალისწინებდა დისკრიმინაციასთან ბრძოლას სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე. ბილ კლინტონი პირველი პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, რომელმაც საჯაროდ სცნო ლგბტ საზოგადოების, როგორც ამომრჩევლის მნიშვნელობა. წინასაარჩევნო დაპირებების მიუხედავად, კლინტონმა ვერ შეძლო შეეცვალა დისკრიმინაციული კანონი, რომელიც გეებსა და ლესბოსელებს უკრძალავდა აშშ-ს სამხედრო ძალებში სამსახურს. 1994 წელს კონგრესში მიღწეული შეთანხმება „ნუ შეეკითხები, ნუ იტყვი“,[7] არადამაკმაყოფილებელ კომპრომისად იქნა მიჩნეული. ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ჰილარი კლინტონს არა ერთხელ მოუწია თავის მართლებამ ამ კომპრომისის გამო.

ბარაკ ობამას წინასაარჩევნო დაპირებებს ზურგს ჯერ-ჯერობით მისი პოლიტიკური კარიერა და „ყველაზე უფრო ლიბერალი დემოკრატის“ იმიჯი უმაგრებს. ხოლო ლგბტ ადამიანების დისკრიმინაციის დაძლევისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრირების ამოცანებმა, რომლებზეც ასე ხშირად საუბრობდა ობამა წინასაარჩევნო პერიოდში, თეთრი სახლის ოფიციალური ვებ-გვერდზე სამოქალაქო უფლებების დღის წესრიგში გადაინაცვლა.[8]

დღეს დასავლეთში ლგბტ საზოგადოება მნიშვნელოვან სოციალურ და პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს. ისინი ეფექტურად იყენებენ ადვოკაციისა და ლობირების მეთოდებს. ბევრი ქვეყნის პარლამენტში შექმნილია ამ საკითხზე მომუშავე ჯგუფები, გაიზარდა იმ პოლიტიკოსთა რიცხვი, ვინც ღიად აცხადებს საკუთარი ორიენტაციის შესახებ. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებათა რიცხვი და ჰომოფობიის გამოვლინების სიხშირე კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ „ემანსიპა-

ment of women in the movement, but also elaborated their own political theory according to which the patriarchal system, colonialism and capitalism were viewed as the basis for sexism and homophobia.[5]

The gay movement reached a new level and presented new demands. In 1973 the National Gay and Lesbian Task Force (NGLTF) was founded. Its chief aims were to eliminate discrimination at all levels and get homosexuality removed from the American Psychological Association's list of psychological pathologies . They were the first to draw attention to hate crimes based on sexual orientation and began documenting cases. Together with the Human Rights Campaign (HRC) , the NGLTF remains among the most respectable and influential organizations of the American political establishment. The organization managed to create a network of LGBT activist groups throughout the country.

With the aim of actively engaging in politics, they elaborated special voter outreach programmes. The group helped openly gay candidates with their campaigns and sought to establish alliances with other politicians. By the early 1980s, the Democratic Party's platform was already calling for anti-discrimination legislation on the basis of sexual orientation.

In 1992, Bill Clinton was the first presidential candidate to publicly acknowledge importance of the LGBT community as a voting bloc. He failed, however, to fully follow through on his campaign promise to repeal the discriminatory law that prohibits gays and lesbians from serving in the US armed forces. In 1994, Congress reached agreement on a policy known as "Don't ask, don't tell" [7], a compromise variant that LGBT voters found unsatisfying. During the last presidential campaign, candidate Hillary Clinton had to give uncomfortable explanations for the move a number of times.

So far, Barack Obama's campaign promises have been backed up by his political career and his image as "the most liberal democrat". The elimination of discrimination against LGBT people and their integration into society – issues Obama frequently raised during the campaign – have been listed among the top civil rights priorities on his agenda, as posted on the White House website.[8]

In the West today the LGBT community is an important social and political force. They effectively use advocacy and lobby their interests. Groups tasked with working on this issue have been set up in a number of countries' parliaments and the number of openly gay politicians has incased across the board. Nevertheless, the frequency of hate crimes and the persistence of homophobia continue to remind us that

ცია ევოლუციური კი არა, პოლიტიკური პროცესია“ და ერთხელ მიღწეული შედეგი სულაც არ განაპირობებს ამ პროცესების შეუქცევად ბუნებას.[9]

“emancipation is a political, not evolutionary process” and that achievements reached in some areas do not necessarily indicate that these processes are irreversible.[9]

ეკა აღდგომელაშვილი

Eka Aghdgomelashvili

წყაროები:/Sources:
Н.А. Алексеев. Правовое рregулирование положения сексуальных меншинств.
И.С. Кон. Любовь небесного цвета. Санкт-Петербург. 2001.
On-line Encyclopedia of Gay, Lesbian, Bisexual, Transgender, and Queer Culture A. Hunnicutt. Germany. www.glbtq.com
On-line Encyclopedia of Gay, Lesbian, Bisexual, Transgender, and Queer Culture. Vicki L. Eaklor. Gay Rights Movement, U.S. www.glbtq.com

შენიშვნები

1. “175 პარაგრაფი” 1871 წელს გაჩნდა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში და ითვალისწინებდა სასჯელს მამაკაცთა შორის ჰომოსექსუალური ურთიერთობისათვის. 1935 წელს, პარაგრაფის ახალ ფორმულირება ითვალისწინებდა სასჯელს არა მხოლოდ ანალური სექსისათვის, როგორც მანამდე, არამედ კოცნისა და ურთიერთმასტურბაციისთვისაც. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კანონმა ასეთი სახით 1969, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კი 1968 წლამდე იარსება. საბოლოო გადაწყვეტილება გაუქმებაზე მხოლოდ 1994 წელს იქნა მიღებული, გერმანიის გაერთიანების შემდეგ.

2. ჩვენი ჟურნალის წინა ნომრებში რამდენიმე სტატია დაეთმო ჰომოსექსუალთა დევნა-შევიწროვებას ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში (№5, 8)

3. ჟურნალი მე (№1,5)

4. სტოუნვოლის ამბოხსა და სტოუნვოლის შემდგომი ლგბტ მოძრაობის აქტივობამ გამოძახილი ევროპაშიც ჰპოვა. 1978 წელს, გეებისა და ლესბოსელების საერთაშორისო ასოციაცია ილგა (International Lesbian and Gay Association (ILGA)) შეიქმნა, რომელიც დღეისათვის 670-მდე ორგანიზაციას აერთიანებს მსოფლიოს 110 ქვეყნიდან. 1990 წელს შეიქმნა კიდევ ერთი საერთაშორისო უფლებათადამცველი ორგანიზაცია — “გეებისა და ლესბოსელების ადამიანთა უფლებების საერთაშორისო კომისია” - International Gay and Lesbian Human Rights Commission – IGLHRC.

5. 70-იანი წლები ერთგვარი გარდატეხის პერიოდია რადიკალური ფემინიზმის ისტორიაშიც.

6. 1973 წელს, ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ (APA) საბოლოოდ ამოიღო ჰომოსექსუალობა ფსიქიკურ დაავადებათა ჩამონათვალიდან.

7. აღნიშნული შეთანხმება ერთი მხრივ, არმიაში მომსახურე პერსონალს უკრძალავდა ღიად გაეცხადებინა საკუთარი ჰომოსექსუალური ორიენტაციის შესახებ, მეორე მხრივ, ხელმძღვანელობას არ ჰქონდა უფლება ეკითხა ვინმესთვის ამის თაობაზე.

8. http://www.whitehouse.gov/agenda/civil_rights/

9. Peter Rehberg. Homophobie ist machbar. http://www.freitag.de/2007/26/07261101.php

NOTES

1. “Paragraph 175, which envisaged punishment for male homosexual relations, was entered into the German Criminal Code in 1871. In 1935, the new wording of the provision envisaged punishment not only for anal sex (as was the case before), but also for kissing and mutual masturbation. The law existed in this form in West Germany until 1969 and in East Germany until 1968. The final decision to eliminate the provision altogether was taken only in 1994, after the German reunification.
2. The topic of persecution of homosexuals under totalitarian regimes has been the focus of several articles in past issues of our magazine. (#5,8)
3. See Me (#1, 5)
4. The Stonewall riots and the subsequent intensified activities of the LGBT movement in the USA found resonance in Europe as well. The International Lesbian and Gay Association was (ILGA) founded in 1978. It currently brings together over 670 organizations worldwide.
5. In 1973, the APA finally did remove homosexuality from the list of psychiatric ailments.
6. The Human Rights Campaign was formed in 1980 in order to provide support to pro-gay congressional candidates. The organization lobbies bills that facilitate the improvement of LGBT people’s legal situation and protection from discrimination. In addition to financing gay-friendly candidates’ election campaigns, the organization works actively on mobilizing activists to get out the vote. HRC monitors statements and voting records of politicians and public figures and issues a rating gauging their support for gay interests. This rating helps voters make their choice. Senator Barack Obama’s rating for 2006 was 86 on a scale of 100. HRC also writes and sends collective letters to legislators.
7. Under the policy, army personnel are prohibited from openly discussing their homosexual orientation while, on the other hand, the military leadership does not have the rights to ask servicemen about their orientation.
8. http://www.whitehouse.gov/agenda/civil_rights
9. Peter Rehberg. Homophobie ist machbar. http://www.freitag.de/2007/26/07261101.php

ნუ მოკლავ ჯაფარას!

To kill a mockingbird

დეკემბრის "ცხელ შოკოლადში" გამოქვეყნებულ "არშემდგარ დისკუსიაში" საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური პროდიუსერის ქსენოფობიური გამონათქვამებზე სამოქალაქო საზოგადოების ერთი ნაწილის გულწრფელი აღშფოთება "დიდი ათეულის" გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა გადაფარა. თუმცა, იმ ადამიანთა ჯგუფი, ვინც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობასთან ერთად კარგად აცნობიერებენ იმ საფრთხესაც, რომელსაც "სიძულვილის ენით" მოსაუბრე ჩინოვნიკები თუ პოლიტიკოსები წარმოადგენენ, გაცილებით მცირერიცხოვანი აღმოჩნდა.

ლელა გაფრინდაშვილის სტატია, რომელიც ამ ორ მოვლენას ეხმაურება, პირველად ჟურნალ "სოლიდარობაში" გამოქვეყნდა (№1(28)'09). ვფიქრობ, ეს სტატია არანაკლებ აქტუალურია ჩვენი ჟურნალის მკითხველისთვისაც.

არხი

ამბობენ, რომ ათასმა ქართველმა ინტელიგენტმა, საკანონმდებლო ორგანოსგან, საახალწლო საჩუქარი, ინდაური, მიიღო. სწორედ ისე, როგორც არჩევნების წინ მღვდელმთავრებმა – ჯიპები.

ხელისუფლების მხრიდან ასეთი ძღვენის შეთავაზება არ გამკვირვებია, მაგრამ მიმღებთა საქციელმა სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. თავი მხოლოდ იმით დავიმშვიდე, რომ მსგავსი საფრთხე მე არ მელოდება. და თუ ოდესმე „რჩეულებში" ჩამწერეს და რაიმე მისახსოვრეს, ნეტა იცოდეს, რა ელოდება იმ ადამიანს, ვინც ამ ნობათით ხელში გამომეცხდება: ისეთ დღეს დავაყრი, რომ მღვდელი დიაკვნად მოეჩვენება!

სანამ ელიტარული ინდაური „ერის საუკეთესო ნაწილის" ქვაბებში თუხთუხებდა, პირველი არხის გენერალურმა პროდიუსერმა, გიორგი ჭანტურიამ, უნიკალური ნობათი მოგვართვა: „საქართველოს მოქალაქეებისადმი თანაგრძნობითა და სიყვარულით სავსე" ფრაზები, სადაც იგი განსხვავებული შესაძლებლობების ადამიანებს „ხეიბრებად" მოიხსენიებს, ჰომოსექსუალებს – „პიდარასტებად", ტოლერანტობა „კორკოტას" ძმაბიჭური შეძახილები ჰგონია, ხოლო პირველი არხის განახლება - გოგო-ბიჭებით მისი დაკომპლექტება. თანაც, დარწმუნებულია, რომ სიცოცხლე მხოლოდ

The justified outrage that part of society felt over the article "Failed discussion", which highlighted xenophobic remarks by the deputy director-general of the Public Broadcaster and was published in the December issue of Tskheli Shokoladi (Hot Chocolate) magazine, has been largely overshadowed by the scandal surrounding the channel's "10 Greatest Georgians" programme. Sadly, it emerged that there is a rather small number of people who, alongside valuing the importance of freedom of expression, also appreciate the dangers posed by officials and politicians who speak in the language of hate. Lela Gaprindashvili's article, which relates to this matter, was first published in Solidarity magazine's February 2009 issue. I think the article will be of interest for readers of our magazine.

They say the parliament distributed turkeys to 1,000 Georgian intellectuals as a present for New Year's and gave priests jeeps before the last election.

I was not surprised that the government would make such a gesture, but the behaviour of the recipients plunged me into despair. The only thing that gave me comfort was the fact that I was in no danger

„ნორჩებს“ გულისხმობს, ხოლო დანარჩენები, განსაკუთრებით ხანდაზმული ქალები, უნდა „მოკლა“, რათა ახალგაზრდებით დასახლებულ კუნძულს, ანუ ტელევიზიას, სული შთაბერო; „ეს ტელევიზია ცოცხალია. ჩვენი პირველი ამოცანა იყო ბებერი ქალი მოგვეკლა, რომელთანაც ასოცირდებოდა ეს ტელევიზია...“

ხელისუფლების ფავორიტთაგან, ცხადია, სახელმწიფო მოხელის ქსენოფობია არავის გაუპროტესტებია. საზოგადოების ნაწილი კი ახმაურდა, აყვირდა, მაგრამ კულუარულად და არა – ორგანიზებულად!

ამას პირველი არხის მესვეურთა თავის მართლება მოჰყვა: ჩვენ გამოკვლევა ჩავატარეთ და რესპოდენტთა უმრავლესობამ საზოგადოებრივი მაუწყებელი მოხუც ქალს შეადარაო.

ჰოი, საოცრებავ! საზოგადოებამ გითხრათ, ტელევიზია მოხუც ქალს ჰგავსო და არა – მოხუცი ქალი უნდა მოკლათო!

იქნებ საქართველოს მოქალაქეებს „ქალის“ ტანსაცმელი ანუ აპარატურა და სტუდიები არ მოსწონთ? იქნებ, თანამედროვე კულტურული, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ასახვის სიმწირეზე მიგანიშნათ, რის გამოც ტელეეთერი ბებიების მიერ მრავალჯერ მოყოლილ, მოყირჭებულ ზღაპარს ემსგავსება.

ამ საკითხებზე რომ გეფიქრათ, მაშინ მიხვდებოდით,

ფოტო: ნინო ძანძავა. – გია ჭანტურია მოსკედზემსნ. Photo: Nino Dzandzava - Gia Chanturia with protesters

რომ „ახლის“ შესაქმნელად „ძველი“ კი არ უნდა „მოკლა“, არამედ ამ ორი უკიდურესობის თანაარსებობა უნდა ასახო. ასეთ შემთხვევაში ტელევიზია სოციალიზმზე დამყნულ პატრიარქატს კი არ დაემსგავსება, არამედ – რეალურ ცხოვრებას, სადაც სოციალურად სუსტები და ძლიერები, რელიგიური და ეთნიკური ჯგუფები, კულტურული და პოლიტიკური ერთობები თანაარსებობენ. აი, ეს არის საინტერესო და ეს ზრდის სოციუმში ტოლერანტობის ხარისხს, რომელიც თურმე, მისი წარმომადგენლის განმარტებით, პირველი არხის პრიორიტეტი არ არის.

უნდა გამოგიტყდეთ და გითხრათ, რომ გიორგი ჭანტურიას აზრების წაკითხვის შემდეგ პირველი, ვინც

of receiving such gifts. And if anyone ever counts me among the “chosen” and pays tribute to me in such a way, let them know I will make them wish they were never born!

While those elite turkeys were boiling in the pots of the “best part of the nation”, the Public Broadcaster’s general producer and deputy director-general, Giorgi Chanturia, was preparing a special gift for us: phrases “full of love and sympathy for Georgian citizens” in which he refers to disabled persons as “cripples” and homosexuals as “pederasts”. It seems that this young man thinks that tolerance means simply shouts of friendliness and brotherliness and that “revitalizing” public TV means staffing it with little boys and girls. He’s convinced that adding “life” to the channel means employing only young people and “killing” the rest, especially older women in order to breath “life” into the island of youth that is the TV station. “This TV station is alive. Our main task was to kill the old woman that the station was associated with,” he said in the interview.

Yet no-one from the government expressed protest over this official’s xenophobia. Some members of society were up in arms, but they only said things in private and failed to organize!

The channel’s management was quick to justify this comment, saying: we did a study and found that the majority of respondents compared the Public Broadcaster to an old woman.

Well, how about that! The public told you that the station was like an old woman – they didn’t tell you to kill the old woman!

Perhaps the public didn’t like the “women’s clothing”, i.e. the equipment and studios? Perhaps they were referring to the lack of programming that reflects modern cultural, social and political life, which is why the channel’s shows have come to resemble a tired and worn-out old fairytale told over and over by grandmothers.

Had they thought about these issues, they would have realized that in order to create something “new”, one shouldn’t “kill” what is old, rather one should depict the coexistence of both extremes. In such case, the TV will not become a patriarchy twinned with socialism, but rather real life, where the socially weak and the strong, various ethnic and religious groups, cultural and political groupings live alongside each other. This is interesting and it increases the level of tolerance in society; yet this is apparently not a prior-

გამახსენდა, – სწორედ ამ სახელმწიფო მოხელის ბებია იყო, – აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე, აფხაზურ-ადიღური ენების სფეროში უნიკალური გამოკვლევების ავტორი. მაშინ, როცა ბევრი ქართველი მკვლევარი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე აფხაზების დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი გამოკვლევების ტირაჟირებაში იყო გართული, ქალბატონი ქეთევანი სწორედ აფხაზური და აბაზური ენების თვითმყოფადობაზე და ჩვენს საერთო კავკასიურ ნათესაობაზე საუბრობდა. მისი რედაქტორობით, 2003 წელს გამოცემული „ქართულ-აფხაზური ლექსიკონი“ ხომ უნიკალურია თავისი მნიშვნელობით. ამიტომ გამორჩეულად უყვარდათ იგი აფხაზებს და ასე მოიკითხავდნენ ხოლმე: Хан табакоу? ანუ სად არის ჩვენი დედაო? ჩვენს უახლოეს წარსულში, ეს ჭარმაგი ენათმეცნიერი რომ ვინმეს გახსენებოდა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ჩაერთო, ან ტელევიზიით მისი წვლილის ამსახველი სიუჟეტები მოემზადებინათ, – ვინ იცის, იქნებ თავიდან აგვეცილებინა ძველი და ახალი ომი?! ქეთევან ლომთათიძე ხომ 2007 წლის 22 სექტემბერს, 96 წლის ასაკში, გარდაიცვალა?! მაგრამ ასეთი საქმის გაკეთებას ჯერ ცოდნა სჭირდება, შემდეგ – სოციალური პრობლემებისადმი მგრძნობელობა და ადამიანებისადმი თანაგრძნობა, რისი დეფიციტიც, ქართულ მედიასივრცეში, ნამდვილად დიდია.

ახლა კი მთავარი! ისტორიები, რომელმაც თავის დროზე ბევრი რამ მასწავლა და როგორც ბებიამ – შვილიშვილს, ისე მინდა მოვუყვე პირველი არხის გენერალურ პროდიუსერს.

VERBA MAGISTRA

ჩემს ქუჩაზე ერთი გეოლოგი კაცი ცხოვრობდა, რომელსაც ბავშვების ჭკუის დარიგება უყვარდა. დაგვინახავდა თუ არა ერთად შეკრებილებს, მაშინვე რაიმე გრძელ, დიდაქტიურ ლექციას ჩაგვიტარებდა, ბოლოს ხელს ზეცისკენ გაიშვერდა და იტყოდა: „VERBA MAGISTRA“ და იქვე განმარტავდა – „მასწავლებლის სიტყვა“.

ზაფხულობით „მაგისტრასთან“ მოსკოვიდან მისი ძმისშვილი, თემო ჩამოდიოდა: გაბღენძილი, ხმელი და მაღალი ბიჭი. შორიდან, სახეზე დამცინავი ღიმილით, გვათვალიერებდა „კლასობანას“ თამაშით გართულ გოგონებს. მერე თვის ღობეზე შემოჯდებოდა და გამაყრუებელ სტვენას იწყებდა.

ვერ იქნა და ვერ გამოგვიწვია. მას ალბათ არასოდეს გავიცნობდი, რომ არა ერთი შემთხვევა: ჩვენი ქუჩის ოღრო-ჩოღრო ქვაფენილზე, თუ დაკვირვებით არ გაივლიდი, – ნამდვილად კისერს მოიტეხდი. ერთხელაც მოხუცი ქალი ისე დაეცა, რომ რამოდენიმე წუთი უგონოდ ეგდო. ქუდმოგლეჯილი გავვარდი დასახმარებ-

ity for the Public Broadcaster, according to Chanturia.

I should admit here that the first thing that came to mind when I read Giorgi Chanturia's comments was his own grandmother, famed academician Ketevan Lomtatidze, who authored numerous unique works on the Abkhaz-Abaza-Adyghe languages. At a time when many Georgian researchers, politicians and other public figures were publishing works that belittled and insulted the Abkhaz, Ms Lomtatidze was speaking about the need to preserve the Abkhaz and Abaza identities and about the common bonds of the peoples of the Caucasus. The Georgian-Abkhaz dictionary she edited in 2003 was a work of unique importance.

This was why the Abkhaz especially loved her and would often ask her "Хан табакоу?" – "where is our mother?"

Had someone thought of this esteemed linguist and involved her in the peace-building process or prepared a TV film on her contributions, who knows, perhaps we could have avoided the old war and the new war?! Lomtatidze died on 22 September 2007 at the age of 96.

To do something, you first need knowledge, then a sensitivity to social problems and then empathy for human beings. The deficit in these areas in the Georgian media business is truly profound.

And now, most importantly, a story that has taught me a lot and which I, like a grandmother to a grandchild, will tell to the general producer of the Public Broadcaster.

VERBA MAGISTRA

There was a geologist who lived on our street who liked to teach us kids lessons and tell us how to live. As soon as he caught sight of us together, he would immediately launch into a didactic lecture, at the end of which he would raise his arms to the sky and say: "verba magistra!" ("the word of the teacher").

In summers, the "master's" nephew would come to visit. He was a young, arrogant and tall boy. He would watch us girls playing "school" from afar with a condescending smile. Then he would take a seat on the fence and let out deafening whistles.

He always failed to arouse our attention, though. I probably never would have met him were in not for one occasion: One time, on our bumpy cobbled street - where if you didn't carefully watch your step, you could easily

კადრი ფილმიდან "ნუ მოკლავ ჯაფარას"
Scene from To Kill a Mockingbird movie

ბლად: წამოვაყენე. მოსულიერდა თუ არა, - მადლიერებით შემომხედა, თავი დამიკრა და გზა გააგრძელა.

როცა გამოვერკვიე, თავის ღობეზე შემომჯდარი თემო დავინახე, უცნაურად იღრიჯებოდა და ფეხებს იქნევდა. არც განძრეულა. ვიფიქრე – მივალ, ხელს ვკრავ და გადავაყირავებ-მეთქი, მაგრამ ვინ მაცალა? შორიდანვე შემომძახა:

– А ты Кристи читала?

უარის ნიშნად თავი გავიქნიე, რაზეც ერთი კარგად გადაიხარხარა და მითხრა:

– Как я не догадался, ты ведь по-русский читать не умеешь?

სიბრაზისაგან ენა დამება, მაგრამ მაინც სხაპასხუპით ჩამოვუთვალე მოთხრობები, რომლებიც სწორედ რუსულად წავიკითხე.

– О, эти-же наши! Я про заграничных спрашивал. Я бы одолжил, но с собой не взял, через год принесу.

მადლობა გადავუხადე და მისი ქართულის ცოდნით დავინტერესდი. მითხრა, 3 წელია ვსწავლობო და უკვე მოთხრობებსაც ვწერ ქართულადო, თუ გინდა – წაგაკითხებო. სიხარულით დავთანმხდი.

მეორე დღესვე 48-ფურცლიანი რვეული მომიტანა, რომელზეც წითელპომადიანი ქალი ეხატა და დიდი ასოებით ეწერა: „ნუ მოკლავ მგალობელ ჩიტს!“ გამალებული დავიწყე კითხვა. მოთხრობა სულ 40-45 გვერდი იყო, თან დიდი, უსწორმასწორო ასოებით ნაწერი. ფანქრის რუხ უფერულობას წითელი პასტით შესრულებული ადგილები არღვევდა. თანაც ეს წითელი ჩანართები იმდენად გულმოდგინედ, ღამზად იყო დაწერილი, რომ როცა კითხვას მოვრჩი, ჩემს წიგნაკში დიდი რუდუნებით გადავწერე და ხშირად ვიყენებდი თანატოლების დასამოძღვრად. აი, ისინიც:

„ადამიანს შეუძლებელია გაუგო, თუ ცოტა ხნით მის თვალსაზრისზე არ გადახვედი. მის კანში უნდა შეძვრე break your neck - an older woman fell down and lay unconscious for several minutes and I rushed to help her. As soon as she came to, she gave me a look of thanks, nodded her head and went on her way.

When it was over, I saw Temo sitting on the fence. He had a strange smile on his face and was waving his legs. He didn't even move. I should go up to him and push him off, I thought to myself. But then he suddenly called out to me in Russian:

"Have you read Agatha Christie?"

I hadn't, so I shook my head. He had a good laugh about it and said:

"I should have known, after all, you can't read Russian, can you?"

I was so mad I couldn't speak for a minute, but then I managed to name several stories which I had read in Russian.

"Oh, those are all Russians! I'm talking about foreign authors. I would lend you some, but I didn't bring them with me. I'll bring some next year."

I thanked him and then I asked him how well he knew Georgian. He told me he had been studying for three years and that he was already writing short stories in Georgian. He said he'd lend me some of his work. I gladly said yes.

The next day, he brought me a 48-page notebook. On the cover was a drawing of a woman with red lipstick and an inscription with big letters: "To kill a songbird" I began reading enthusiastically. The story was 40-45 pages long, written in big, crooked letters. It was mostly written in pencil, with corrections in red pen interspersed. These red corrections were written so carefully and beautifully, that when I finished reading, I copied them with great enthusiasm and often used them to impress my peers.

SOME OF THEM WERE:

"You won't be able to understand a person unless you look at things from their viewpoint for a while. You have to crawl into their skin and walk around. If you can master this, you will have no problems dealing with people who are different from you…"

"What is compromise? It's when people make concessions to each other and reach agreement."

"Never refer to black people as 'negroes'!"

"A white woman kissed a black man and tempted him, thus violating the existing moral code. Her desire won out over the law. Now she has to get rid of

კადრი ფილმიდან "ნუ მოკლავ ჯაფარას"
Scene from To Kill a Mockingbird movie

ხომ არა მხოლოდ ერთ რასაზე, არამედ ყველა ადამიანზე თანაბრად ვრცელდება?! აბა რომელ ჩვენგანს არ უცრუია და არ მოქცეულა უღირსად?!...“

„ადამიანმა, რომელსაც ბავშვები „საშინელებას“ ვეძახდით, მე და ჯიმის სიცოცხლე გვაჩუქა... ყველა ადამიანი კარგია, თუ ის ბოლოს და ბოლოს გაიცანი...“

ისეთი აღფრთოვანებული ვიყავი, რომ თემოს დავუმეგობრდი. თვალი სულ მისი ეზოსკენ მეჭირა. მე „ღამურა“ ვარ და რადგან მათი სხვენი მთელი ღამე განათებული იყო, ვიფიქრე – ნამდვილად ახალ მოთხრობებს წერს-მეთქი, მაგრამ გამაწბილა: იქ უბრალოდ შუქს არ ვაქრობთო. უცნაურად კი გაწითლდა და თავი მკვეთრი მოძრაობით გვერდზე მიაბრუნა.

ერთ თვეში თემოს ეზო ხალხით გაივსო. მეზობლებმა თქვეს – „მაგისტრას“ დედა, კეკე, გარდაიცვალაო. სახტად დავრჩი! მათთან მესამე ადამიანი არასდროს დამინახავს.

დაკრძალვაზე უამრავი ხანაზმული ქალი მოვიდა. აღმოჩნდა, რომ კეკე რუსულის მასწავლებელი იყო, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი.

საპანაშვიდო მითქმა-მოთქმაში ისიც გავარკვიე, რომ განათებული სხვენის ბინადარი სწორედ ის იყო: სიცოცხლის ბოლო წუთამდე შრომისუნარიანი, ბევრს კითხულობდა და შვილიშვილისთვის მოთხრობებს ქართულად თარგმნიდაო. როცა უკანასკნელ გზაზე აცილებდნენ, თვალი ცხედრისკენ გამექცა და ჩემი გადარჩენილი მოხუცი შევიცანი.

რა დიდი ჭკუა უნდოდა იმის მიხვედრას, რომ მეზობელი ბიჭის მიერ თავისადგასაღებული მოთხრობა “სხვენის ჩიტმა” დაწერა. ხოლო, როცა 1986 წელს, ჰარპერ ლის „ნუ მოკლავ ჯაფარას“ ქართულად წავიკითხე, მივხვდი საქმის ნამდვილ არსს: კეკე ბებიამ ეს ნოველა რუსულიდან, იმპროვიზირებულად თარგმნა.

კიდევ ერთხელ გავბრაზდი მოხუცი ქალის გამო, რომლის გონიერებას და ნიჭს ნამდვილად უნდა ვუ-

the only witness to her shame, Tom Tailor. The public agrees with her, because they see all black people as liars and immoral. But this applies not only to one race, but to all of humanity equally?! Who among us hasn't lied or behaved wrongly?!"

"A man whom we kids had been calling a 'monster', saved the lives of me and Jimmy... All people are good if you really get to know them..."

I was so impressed that I became friends with Temo. I would constantly look over to his yard. I was a bit of a night owl, and when I looked over and saw his attic lit up at night, I would think to myself: "I bet he's writing a story right now." But when I asked him about it, he disappointed: we just leave the light on up there. He blushed in an odd way and sharply turned his head to the side.

One month later, Temo's yard was full of people. The neighbours said that "master's" mother, Keke, had passed away. I was flabbergasted! I had never seen another person with Temo and his uncle.

There were countless old women at the funeral. I learned that Keke had been a Russian teacher, a holder of the title "Meritorious Pedagogue of the Republic".

From the funeral gossip, I also learned that it was her who had been living in the attic: until the very end, she was able and continued to read and translate stories into Georgian for her grandchild. When they took away the coffin, I took a peak at the body and saw that it was the woman I'd helped get up off the street.

It wasn't hard to realize at that point that the story the neighbour boy had claimed was his own had in fact been written by the "attic bird". But later, in 1986, when I finally read Harper Lee's "To Kill a Mockingbird" in Georgian, I realized that what I had read back then was Grandma Keke's own improvised translation of the book from Russian.

Once again, I got mad because of that old woman, whose intelligence and talent I have to thank for sharing with me the ideas contained in that immortal tome: don't oppress those who are weaker than you or different from you. Don't kill the mockingbird, a bird which does not bother crops and doesn't steal grain from farmers; it just delights us with its song and flies about freely!

I quickly searched for my notebook. I was reading Harper Lee's ideas for the umpteenth time and I felt my heart weighed down by an indeterminate

მადლობე ამ უკვდავი თხზულების იდეებთან ზიარებას: როგორ არ უნდა დაჩაგრო შენზე სუსტი და შენგან განსხვავებული ადამიანი ისევე, როგორც არ უნდა მოკლა ჯაფარა, – ჩიტი, რომელიც არ ერჩის ნათესებს, არ ემტერება გლეხის ნუგეშად გამოვსებულ ბეღელს, – მხოლოდ გალობით გვატკბობს და თვისუფლად დაფრინავს!

სასწრაფოდ ჩემი წიგნაკი მოვძებნე: უკვე მერამდენედ ვკითხულობდი ჰარპერ ლის აზრებს და გულს ამოუცნობი სევდა მიმძიმებდა – ალბათ, კეკე ბებიას გამო. როგორ ცდილობდა შვილიშვილისათვის თანაგრძნობა ესწავლებინა?! შეცდა! სიყვარული არ ისწვლება, ეს ნიჭი ან გეძლევა, ან – არა. მის ცდას რომ ნაყოფი გამოეღო, მაშინ თემო მოამაგე ბებიას სხვენის მარტოობისთვის არ გაიმეტებდა, ქვაფენილზე უსულოდ დაგდებულს – წამოაყენებდა და როგორც ავტორს და მასწავლებელს, არასდროს „მოკლავდა“. აბა, წარმოიდგინეთ, - რას უზამს ჩიტებს ასეთი ადამიანი?!

HELICHRYSUM ანუ უკვდავა

ჩემი შთაგონების წყარო ბუნება არასოდეს ყოფილა. მისი სიდიადე და სწორუპოვრობა უფრო მაშინებდა, სევდას მგვრიდა, ვიდრე – სიხარულს. აი, ცხოველები და ადამიანები, მათი ზნის დაკვირვება, ამოცნობა და თანაგრძნობა ინტერესს მიღვივებდა. ამიტომაც როგორც გიჟს, ისე ვუყურებდი ჩემს ნათესავს, მექის, რომელიც დედამ მიატოვა და მამა და დედინაცვალი ზრდიდნენ. საზაფხულო არდადეგებზე იგი, დედაჩემის მშობლიურ სახლში თავმოყრილ ბავშვებს, ერთი-ორი კვირით აუცილებლდა გვესტუმრებოდა ხოლმე. დილაუთენია გარბოდა ტყეში. უამრავი ყვავილი, ფოთოლი, ფესვები მოჰქონდა, დერეფნის მზიან მხარეს ალაგებდა და ყველას გვაფრთხილებდა: „ხელი არ ახლოთ, არ შეაწუხოთ, თორემ ჰერბარიუმი გამიფუჭდება!“ შეპყრობილი იყო მცენარეებით. ლექსებსც მხოლოდ მათ უძღვნიდა. ერთი მათგანი მახსოვს – „Fragaria ananassa“ ერქვა.

შუადღისას მსხლის ძირში ბავშვებს თავს მოგვიყრიდა და, მაგალითად, გვკითხავდა: იცით რას ნიშნავს „Helichrysum“?

უარის ნიშნად, თავებს გავაქნევდით თუ არა, იწყებოდა გულანთებული საუბარი ამ მცენარის ბუტკოზე, გვირგვინის ფურცლებზე, მტვერზე, ფოთლებზე, ფესვებზე და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ავად იყო ამით, ამიტომ თხრობა და მსმენელები წამალივით სჭირდებოდა. ერთხელ, დედამიწაზე ბჭობა ბებიაჩემის აზრმა გააწყვეტინა:

– მეტი შენ რა გითხარი! დედამიწაა რომ ბრუნავდეს, sorrow – probably because of Grandma Keke. How she tried to teach her grandchild to feel sympathy! She was wrong! Love cannot be learnt, it is a talent that you either have or you don't. If her attempt bore fruit, Temo would not leave his caring grandmother alone in the attic; and, as an author and teacher, he would never "kill" her. Just imagine how a person like this would treat birds.

HELICHRYSUM, A.K.A. "THE IMMORTAL ONE"

Nature has never been a source of inspiration for me. I have found its richness and vastness more scary and sorrowful than joy-inspiring. My interest was in people and animals; I would focus on their character, identifying and sympathizing with them. That's why my relative Meki loved me like crazy. He had been abandoned by his mother and was being raised by his father and stepmother. In the summer, he would stay with us other kids at my mother's family home for a week or two. Early in the morning, he would run out into the forest. He would gather bunches of flowers, leaves and roots and then arrange them in the sunny part of the corridor at the house. He would warn us: "Don't touch them, don't bother them, or else my herbarium will be ruined!" He was obsessed with plants. He wrote poems to plants, and only to plants. I remember one of them was entitled, Fragaria ananassa.

He would come up to a bunch of us children gathered under a pear tree and ask, for example, "Do you know what Helichrysum means?"

As soon as we shook our heads, indicating that we didn't know, he would start enthusiastically telling us about the flower's pistil, petals, pollen, leaves, roots and lifespan. His fascination made him sick, so he needed people to hear him talking about as his medicine.

Once, my grandmother interrupted him while he was talking about the earth:

"What are you talking about?! If the earth were rotating, how is it that I've never once ended up in Moscow?"

"Ha, ha, ha! The earth doesn't revolve around you, it rotates on its own axis," Meki answered my grandmother, who was taken aback.

Summer after summer, there would be more and more herbariums. But then a horrible thing happened: Meki's stepmother burned the collection that

ერთხელ მაინც როგორ არ მოვხვდებოდი მოსკოვში?

– ჰა, ჰა, ჰა! დედამიწა შენს გარშემო კი არა, – თავისი ღერძის გარშემო მოძრაობს! – უპასუხა მექიმ სახტად დარჩენილ გოგუცას.

ზაფხული ზაფხულს მოსდევდა და ჰერბარიუმი ჰერბარიუმს ემატებოდა. მაგრამ მოხდა უბედურება: ერთხელაც, ეს სასოებით დაგროვილი 'სიმდიდრე" დედინაცვალმა დაუწვა, ხოლო ლექსები სულ ნაკუწებად უქცია – რა ბიჭის საქმეა ეს სისულელეებიო. მექი თვითგვემას მიეცა: არც სკოლაში დადიოდა და სახლიდანაც ფეხს არ დგამდა გარეთ. ნელ-ნელა მოეგო გონს. ამასობაში მე სკოლა დავამთავრე და სტუდენტი გავხდი. მოულოდნელად დამირეკა და მესტუმრა:

– სახლიდან წამოვედი, ვეღარ გავუძელი იმ კუდიანს. მითხრა, – ახლა ცოლი უნდა შეირთოო. თან მის ბიძაშვილს მირიგებს: აბა, ეს ჩემი სიმწრით ნაგროვები ქონება ვიღაც გომბიოს ხომ არ უნდა დარჩეს, არ ჯობია ჩემიანმა გაიხაროსო? ეგ გოგო ჩემი ნათესავიც გამოდის-მეთქი რომ ვუთხარი, კინაღამ გაგიჟდა – შენ რა ჩემი ნათესავი ხარო?

ისეთი თავზარდაცემული და შეურაცხყოფილი იყო, რომ ძლივს დავამშვიდე. შუაღამისას წავიდა. კარებში იდგა, როცა თქვა:

– გეფიცები, მაინც არ მძულს, უფრო მეცოდება!

იმ წუთში მისი გულმოწყალება არ დავიჯერე. მეგონა იტყოდა — მძულს ქალებიო (დედისა და დედინაცვლის გამო!), მაგრამ ახლა ვხვდები, რომ მართალი იყო, რადგან ამ ბიჭს მხოლოდ სიყვარული შეეძლო და ამისთვის ისჯებოდა. მეორე დღესვე დავურეკე მამამისს, მაგრამ ტელეფონთან „ის" მოვიდა. მექი ისე მოვიკითხე, ვითომ არაფერი ვიცოდი.

– შენც კაი იმერელი აფერისტი ხარ! როგორ დავიჯერებ, რომ არ გნახა და არ ჩაგიკაკლა ამბები. წინ – წყალი, უკან – მეწყერი, მაგ არაკაცს! სულ დაამტვრია ყველაფერი, „მადონაც" კი! – მითხრა და ყურმილი დაახეთქა.

ვიფიქრე: ახლა მოვა და რაც თავის გერს დააკლო, სულ ჩემზე აანაზღაურებს-მეთქი. მაგრამ დამიფარა მამა ზეციერმა და დედა ღვთისმშობელმა!

საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის გენერალური პროდიუსერისთვის მექი პიდარასტია, დედინაცვლისთვის – არაკაცი, ხოლო ჩემთვის – მცენარეთა სულთამპყრობელი ბერბიჭა, Helichrysum ანუ იგივე უკვდავა.

ეპილოგი

სანამ ჩვენ სახელმწიფო მოხელეთა ქსენოფობიას ვებრძვით, „ნუ მოკლავ ჯაფარას" ავტორი, ჰარპერ ლი, he had taken such pains to collect and arrange. She then tore up all his poems. A boy has no business writing such nonsense, she thought.

Meki fell into a depression. He stopped going to school and wouldn't even set foot outside the house. Slowly, he came to his senses. In the meantime, I finished school and entered university. Then, once, he called me up out of the blue and paid a visit.

"I left home. I couldn't deal with that witch any longer. My stepmother told me it was time for me to marry. And she was going to fix me up with her cousin. I'm not going to leave all this property I worked so hard to get to some stranger; I'd rather have one of my own enjoy it, she said. I told her that that girl would also be my relative and when I said this, she went crazy. You're no relative of mine!" she said.

He was so traumatized and insulted that I barely managed to calm him down. He left late at night. He stood in the doorway and said: "I swear, though, I don't hate her. I feel sorry for her!"

At that moment, I didn't believe this charitable statement. I thought he would say that he hated women (because of his mother and stepmother), but now I realize that he was right, because that boy was only capable of love and he was being punished for precisely this trait. The next day, I tried to call his father, but "she" answered the phone. I asked for Meki, pretending I didn't know anything.

"You're quite the liar, you! Am I to believe that he didn't come to see you and tell you everything? That rat! He smashed everything here, even the "Madonna," she said and slammed the phone down.

I thought to myself that she would come right then and take out her frustrations against him on me. But the Lord above and the Virgin Mary protected me.

To the general producer of the Public Broadcaster, Meki is a pederast, to his stepmother, he is a scoundrel. But to me he is a bachelor with a great spiritual understanding of plants, Helichrysum, the immortal one in other words.

EPILOGUE

While we're here fighting against the xenophobia of public officials, the author of "To Kill a Mockingbird", Harper Lee, is in the USA, 82 years old and confined to a wheelchair. According to Giorgi Chanturia, she is a "crippled old lady". But no-one has forgotten her, neither the state nor the public. In 2007 she was be-

82 წლის გახდა და მხოლოდ ეტლით გადაადგილდება. გია ჭანტურიას სიტყვებით „ბებერი ხეიბარი ქალია“, მაგრამ იგი არავის დავიწყებია: არც სახელმწიფოს და არც – საზოგადოებას. 2007 წელს „აშშ-ს პრეზიდენტის მედალი მშვიდობისათვის” მიიღო, ხოლო 2008-ში – ალაბამას შტატის იურისტთა ასოციაციის საპატიო წევრად აირჩიეს. ტელეგადაცემებიც მიუძღვნეს, სადაც სამართალმცოდნე ქალი უზადო გულმოდგინებით იხსენებდა იმ ჯილდოებსა და აღიარებას, რომლებიც 1960 წლიდან, ანუ წიგნის გამოსვლიდან, დღემდე მისმა, „საუკუნის საუკეთესო ნოველად“ აღიარებულმა მოთხრობამ და მის საფუძველზე გადარებულმა ფილმმა (რეჟისორი რობერტ მალიგანი) მიიღეს. უამრავ გამოხმაურებას შორის, ჰარპერს ყველაზე მნიშვნელოვნად ერთი აფრო-ამერიკელი ქალის აზრი მიაჩნია: „როცა თქვენი წიგნი წავიკითხე, 14 წლის ვიყავი. მან შეცვალა ჩემი ცხოვრება!”

დიახ, ასეთ წიგნებსა და ჰარპერ ლის მსგავს ადამიანებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სხვების შეხედულებებზე, ცხოვრებაზე, გახადონ ისინი უფრო ჰუმანურები და ტოლერანტულები. ხოლო როცა „კორკოტა“ ამბობს – ჩემი მეზობელი ვანია პეტროვი რა ჯიგარი ბიჭი იყოო – ეს არის „ძმობა და გაგება“ და არა – ტოლერანტობა!

ლელა გაფრინდაშვილი
ჟურნალი “სოლიდაროობა” №1(28)’09

stowed with the US Presidential Medal of Peace and in 2008 she was named a honorary member of the Alabama Lawyers’ Association. TV documentaries about her have shown this learned woman speaking intelligently about the recognition and praise that her 1960 book and the Robert Milligan film based on it have received. She said one of the most significant things anyone has ever said to her was when an African-American woman came up to her and said: “I read your book when I was 14 and it changed my life!”

Indeed, books like “To Kill a Mockingbird” and people like Harper Lee can influence other people’s views and change their lives, make them more humane and tolerant. When Chanturia’s selected showman says things like “My neighbour Vanya Petrov was a great guy”, it’s a simplified notion of “brotherhood and understanding”, it’s not tolerance!

Lela Gaprindashvili
Magazine “Solidaroba” #1(28)2009
(Magazine published by the Office of Public Defender of Georgia)

ჰარპერ ლი ალაბამას შტატის იურისტთა ასოციაციის საპატიო წევრად არჩევისას.
Harper Lee during Alabama State Bar Honorary Special Membership ceremony

მოიმარჯვეთ ცხვირსახოცები
Get out your handkerchiefs

ასე ქვია ფრანგი რეჟისორის, ბერტრან ბლიეს მიერ 1978 წელს გადაღებულ სკანდალურ ფილმს, რომელიც იმავე წელს ოსკარით დაჯილდოვდა საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში. ბლიეს ნამუშევარს კონკურენციას საბჭოთა სურათი „თეთრი ბიმი, შავი ყური“ უწევდა. ფილმის რეჟისორი, რომელზეც დღეს ვილაპარაკებთ, არც ფრანგია და არც საბჭოთა სოციალისტურ გარემოში უცხოვრია, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების სწორედ იმ ეპოქას აღადგენს, როდესაც “ყველა თანასწორი იყო, მაგრამ ზოგი უფრო თანასწორი”.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული ამერიკელი რეჟისორი გას ვან სენტი, ავტორი ფილმებისა „სპილო“, „პარანოიდ პარკი“, „უკანასკნელი დღეები“ რამდენჯერმე მიუბრუნდა სან-ფრანცისკოს ლეგენდარული გეი კანონმდებლის, ჰარვი მილქის ცხოვრების ისტორიას, მაგრამ პროექტის განხორციელება მხოლოდ 2008 წლისთვის შეძლო. ვან სენტის ბოლო ნამუშევრის სახელწოდებაა „მილქი“ და ის საუკეთესო მხატვრული ფილმის ნომინაციაში წელს ოსკარის მოსაპოვებლად იბრძოდა. ოსკარზე იყო წარდგენილი მთავარი როლის შემსრულებელი შონ პენიც, რომელმაც სავსებით სამართლიანად მოიპოვა 2009 წლის საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ტიტული.

გეი თემატიკის ფილმების მონაწილეობა ოსკარების დაჯილდოების ცერემონიალზე ახალი ხილი არ არის, თუმცა ასპარეზზე „მილქის“ გამოჩენა ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციიდან ერთი თვის თავზე მაინც განსაკუთრებული მოვლენაა. „მე ცვლილება მჭირდება“ – რამდენჯერმე იმეორებს ფილმის მთავარი პერსონაჟი, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში პირველი ჰომოსექსუალი თანამდებობის პირი, რომელიც არ მალავდა თავის ორიენტაციას. მისი სიტყვები მაყურებელს აუცილებლად გაახსენებს ბარაკ ობამას მთავარ წინასაარჩევნო ლოზუნგს, რომელმაც 20 იანვარს 4 მილიონიანი აუდიტორიის წინაშე სწორედ გეი ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევა მოისმინა.

70-იან წლებში აშშ-ში სულ სხვა სიტუაცია იყო, საზოგადოებასა და დისციპლინარულ წრეებში ჰომოსექსუალობა ხშირად განიხილებოდა როგორც ფსიქიკური გადახრა და ავადმყოფობა. ჰარვი მილქის მიერ ყამირ ნიადაგზე წამოწყებული საქმიანობა მილქის და სან ფრანცისკოს მაშინდელი მერის – ჯორჯ მოსკონეს მკვლელობით დასრულდა.

ჰარვი მილკი სან ფრანცისკოს საქალაქო საკრებულოს 1977 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ
Harvey Milk Winning 1977 San Francisco City Council Elections

Such is the title of a scandalous and Oscar winner film shot by French director Bertrand Blier in 1978 which was named best foreign language film that year. Blier's main competition was the Soviet film "White Bim, black ear". The director of the film we will discuss below was neither French nor a native of a Soviet Socialist environment, though he did revive the era of American history when "all were equal but some were more equal".

Since the 1990s, American director Gus Van Sant, author of films such as "Elephant", "Paranoid Park" and "Last Days", turned his attention to the legendary San Francisco city councilman Harvey Milk, completing the project in 2008. Van Sant's latest work is called simply "Milk". It was nominated for a best picture Oscar this year. Sean Penn was also nominated for best male actor and was awarded a deserved Oscar.

The fact that a gay-themed film is competing for an Oscar is nothing new, but the appearance of "Milk" at roughly the same time as the new president's inauguration is a special event. "I need change" is a line we hear several times from the film's main character,

კადრები ფილმიდან "მილკი"
Scenes from MILK movie

გას ვან სენტის ფილმი გეი და პოლიტიკური აქტივისტის ცხოვრების უკანასკნელ, რვაწლიან მონაკვეთს ასახავს.

ის, რომ გას ვან სენტს აინტერესებს ადამიანების მდგომარეობის კვლევა სიცოცხლის ბოლო პერიოდში მან კურტ კობეინის ბიოგრაფიის გადახედვითაც დაამტკიცა ფილმში „უკანასკნელი დღეები“. სიკვდილის წინ მყოფი ადამიანი და ის, ვინც მკვლელობას ან თვითმკვლელობას ჩადის, შეიძლება ითქვას, რომ ამ რეჟისორის თემაა. თავის ფილმებში ვან სენტი ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას, თუ რას მიჰყავს ადამიანი ფატალური გადაწყვეტილებებისკენ და რამდენად აცნობიერებს ის ამ გადაწყვეტილებების ფატალურობას.

ჰარვი მილქმა სოციალური და პოლიტიკური აქტივობა დაიწყო მაშინ, როდესაც 40 წელს გადააბიჯა და ნიუ-იორკიდან საცხოვრებლად სან-ფრანცისკოს ირლანდიელ კათოლიკეთა უბანში გადაბარგდა; მაშინ, როდესაც პოლიტიკური და კულტურული მღელვარების „სიყვარულის ზაფხულმა“ ჩაიარა და სან-ფრანცისკო უკვე აღარ იყო „ყვავილების შვილების ფესტივალის“ ქალაქი.

რეჟისორი შეეცადა ზუსტად აღედგინა 30 წლის წინანდელი რეალობა. ისტორიის კვლევისა და მხატვარ-დეკორატორების მუშაობის გარდა, მას ამ საქმეში მთავარი როლის შემსრულებელი შონ პენიც მნიშვნელოვნად დაეხმარა. ფილმში დეტალურად ვითარდება ლეგენდარული კასტროს

one of the first openly gay people to hold elected office in United States history. His words will doubtless remind viewers of the main campaign slogan of Barack Obama, at whose inauguration on 20 January a gay priest said a prayer before 4m people gathered on the Washington Mall.

In the 1970s, the situation in the United States was completely different. In many circles, homosexuality was often considered to be a psychological deviation and a sickness. The trail blazed by Harvey Milk ended when he and then San Francisco Mayor George Moscone were murdered. Gus Van Sant's film focuses on the last eight years of the gay and political activist's life.

Another Van Sant biopic, "Last Days", also focused on the end period of Kurt Cobain's life. People about to die (or about to commit murder or suicide) can be said to be a recurring theme in the director's work. In his films, Van Sant explores what leads a person to make a fatal decision and to what extent they comprehend the fatal nature of the consequences of their actions.

Harvey Milk became a social and political activist after he reached the age of 40 and moved from New

კადრები ფილმიდან "მილკი"
Scenes from MILK movie

ქუჩის ამბოხებული სან-ფრანცისკოს ეპიცენტრად გადაქცევის ისტორია. შონ პენის პერსონაჟის მიერ საკუთარი ფოტომაღაზიის „კასტრო კამერის“ გახსნა მოგვიანებით გახმაურებული მოვლენების დასაწყისად იქცა. კასტროს ქუჩა გახდა ადგილი, სადაც ჰომოსექსუელებმა დაიწყეს შეკრება.

ჰარვი მილქმა თავიდანვე ბრძოლის გზა აირჩია – როგორც მაღაზიის მფლობელი და მოგვიანებით, როგორც ქალაქის საკრებულოს წევრობის კანდიდატი, არ მალავდა, რომ ჰომოსექსუალი იყო. მისი უკომპრომისობა არა შეფარვით, ნელ-ნელა საკითხის გამჟღავნებაში, არამედ საკითხის პირდაპირ დაყენებაში გამოიხატებოდა. მისი მიზანმიმართული ბრძოლა გარემოს შეცვლასა და ჰომოსექსუალთა მიმართ საზოგადოების დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ხანგძლივი და დამღლელი იყო. გას ვან სენტი ამ გზის დრამატურგიულ ქარგას ფილმში ისე აგებს, რომ მაყურებელმა არც ერთ ეპიზოდში არ მოიწყინოს. ის არ წარმოგვიდგენს ჰარვი მილქს როგორც მხოლოდ პოლიტიკურ და გეი აქტივისტს, შონ პენის პერსონაჟი ამავდროულად სასიყვარულო ბატალიებში ჩართული პიროვნება და საყვარელია. მილქის სასიყვარულო ისტორიები ფილმს უფრო დრამატულს ხდის, სენტიმენტალურობის მცირედი დოზის გარეშე. საერთოდ, გას ვან სენტი არ მანიპულირებს პერსონაჟებისა და მაყურებლის გრძნობებით, როგორც ეს

York to San Francisco, where he settled in the traditionally working class Irish Catholic neighbourhood of Castro. This was in the 1970s, after the "summer of love" and after the age of "flower children's" domination of the city.

Director Van Sant took pains to recreate the San Francisco of the 1970s. He extensively researched the styles of the area and employed a team of decorators; he was helped significantly in this endeavour by lead actor Sean Penn. The film tells in detail the story of how the legendary Castro Street became the epicentre of San Francisco's transformation. Milk's decision to open his camera store "Castro Camera" contributed greatly to the neighbourhood's evolution into an LGBT neighbourhood.

Since he moved to San Francisco, Harvey Milk was a fighter. Both as shop owner and later as a candidate for city council, he never hid his homosexuality. His uncompromising nature lead him to broach the issue not gently and carefully, but with total directness.

His battle to change the situation and improve societal attitudes towards gays was long and tiring. Van Sant portrays the dramatic path that Milk traversed

ხშირად ხდება გეი თემატიკის მომცველ ფილმებში. ის არ ქმნის არც მელოდრამას, არც პროპაგანდას და არც ეპიკურ ტილოს ჰომოსექსუალთა თვითდამკვიდრებისათვის მებრძოლი მითიური პერსონაჟებით.

ფილმის დასაწყისში საკუთარი და სხვების ცხოვრების შეცვლით გულანთებული აქტივისტის მოღვაწეობა მეორე ნახევარში უფრო რთულდება და იძაბება. დრამატურგიასთან ერთად ვითარდება ფილმის ვიზუალური სახეც. მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად ძლიერდება ექსტაზი, ფილმის ეკრანული სახე უფრო მასობრივი, ადამიანებით დატვირთული ხდება, პატარა და შემდეგ დიდი ჯგუფების კომბინაციების გათამაშებით ოპერატორი და მონტაჟის რეჟისორი ფინალურ ეპიზოდს ძალიან მონუმენტურს და ამაღელვებელს ხდიან. ჰარვი მილქის მკვლელობით შეძრული სანთლებმომარჯვებული ხალხის ტალღების ქუჩაში უწყვეტ ნაკადად დინება კინემატოგრაფის საუკეთესო ტრადიციების დაცვითაა შესრულებული. „მილქი" ჰერის სავიდესთან თანამშრომლობით გადაღებული გას ვან სენტის უკვე მესამე ფილმია.

შონ პენის პერსონაჟის ცხოვრებაში ტრაგიზმი ჯაკომო პუჩინის „ტოსკას" რამდენჯერმე გაჟღერებასაც შემოაქვს: სიყვარულის დაკარგვა, ახლის პოვნა, დაბოლოს, ოპერაში „ტოსკას" წარმოდგენის ყურებისას საკუთარი თავის ხელახლა აღმოჩენა.

in such a way that the viewer doesn't get bored in any scene. He does not present Harvey Milk as only a politician or gay activist; he also explores the trials and tribulations of Milk's love life, which make the film more dramatic without adding unneeded sentiment.

In general, Van Sant does not manipulate the feelings of the characters and the audience, as so often happens in gay-themed films. His work is neither melodrama, nor propaganda, nor an epicurean canvas for mythical personalities who fight for gay rights.

While the beginning of the film, Milk is enthusiastic and idealistic, later on things become more complicated and tense. Together with the development of the plot, the visual aspect also evolves throughout the course of the film. There is more and more movement and the sense of ecstasy becomes stronger. More and more people crowd the screen; through the juxtaposition of smaller and larger groups, the director and the editor set the stage for a monumental and exciting finish.

The scene in which waves and waves of people shaken by Milk's death pour through the street in

ლა მოპოვება – სიკვდილის გაუცნობიერებელ მოლოდინში ხელახლა დაბადება. გას ვან სენტმა კარგად იცის ევროპული კინოს ისტორია, ის ხშირად იყენებს ფრაზებს, ოღონდ მისი ფრაზები არ ყვირის და კარგად ეწერება პერსონაჟების ყოველდღიურ რეალობაში. ის ხან მაკ სენეტიდან მოყოლებული ამერიკული კინოს ადრეული პერიოდის კომედიებში ლამის აუცილებლობად ქცეულ ტორტების სროლის და ერთმანეთისთვის სახეში მოხვედრების ტრიუკს ათამაშებს, ხანაც იტალიელ ლუკინო ვისკონტის გადაწვდება და საოპერო დადგმას თავისი პერსონაჟების პირად ცხოვრებაში გაათამაშებს. ვან სენტი იუმორის გრძნობით იგებს, როგორც ამას ჰარვი მილქი აკეთებდა პოლიტიკური მოღვაწეობის დროს. ამერიკაში პოპულარობით რიგით მერვე ოპერის „ტოსკას“ ფინალში ტოსკას ციხე-კოშკიდან გადავარდნის და ჯარისკაცების სცენაზე შემორბენის ეპიზოდს რეჟისორი ხაზგასმულად აშარჟებს, თან მაშინ, როდესაც ფილმში ეს სცენა შონ პენის პერსონაჟის სიკვდილის რეპეტიციაა.

შონ პენი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ის კარგი მსახიობია. როლზე მისი არჩევა ალბათ პენის რადიკალური პოლიტიკური და სოციალური შეხედულებების გამოც მოხდა (ცნობილია მისი უარყოფითი დამოკიდებულება ერაყის მოვლენების და ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიმართ).

waves is executed in strict adherence with the best cinematographic traditions.

Milk is the third film Van Sant has shot with cinematographer Harris Savides.

Music from Giacomo Puccini opera “Tosca” adds additional force to the tragic nature of Penn’s Milk character. It traces the loss of love, the finding of a new one and, at the end – while watching a performance of “Tosca” – rediscovering oneself and being reborn while unconsciously anticipating death.

Gus Van Sant is well familiar with the history of European cinema, but his references to film greats of yesteryear are subtle and made to fit the reality in which characters dwell. At times he uses the comedic pie-throwing used since the early films of Mack Sennett while elsewhere he follows Luchino Visconti’s habit of having his characters live out an opera in their own personal lives.

Van Sant takes a humorous approach, just like Harvey Milk did in his political career. The director makes an obvious reference to Tosca’s fall from the tower and the appearance of soldiers onstage in setting the stage for Milk’s murder.

კადრები ფილმიდან "მილკი"
Scenes from MILK movie

ჰარვი მილქის გარდაცვალების ასაკში მყოფმა შონ პენმა — ის 48 წლისაა – მეთოდურად შეისწავლა სან-ფრანცისკოს საკრებულოს წევრთან დაკავშირებული ყველა დეტალი, ნახა მილქის შესახებ არსებული დოკუმენტური ფილმები და საარქივო მასალა.

ნიუ-იორკელი ჰიპი თანდათანობით იქცევა სან ფრანცისკოელ მეამბოხედ, რომელიც მესამე საარჩევნო კამპანიის წარმოების დროს იმიჯსაც შეიცვლის და რესპექტაბელურ კოსტიუმს მოირგებს ამომრჩევლების გულის მოსაგებად. პრეზენტაბელობა მილქის საარჩევნო მოღვაწეობის და პოლიტიკური აქტივობის განუყოფელ ნაწილად იქცევა. საკრებულოში ლიფტის ნაცვლად პომპეზური მარმარილოს საპარადო კიბის გამოყენება მისთვის არა ყოველდღიური ფიზიკური ვარჯიშის დატვირთვა, არამედ ჰომოსექსუალი აქტივისტის საკრებულოში მუშაობის კიდევ ერთი ხაზგასმა იყო პრინციპით – „ყველას დასანახად", „თვალსაჩინოდ", „თვალშისაცემად".

ამ ბიოგრაფიულ ფილმში მოთხრობილი ისტორიები ჰომოფობიასთან ჯანსაღი ბრძოლის სახელმძღვანელოა, მილქის ბრძოლა გას ვან სენტის ფილმის მიხედვით თამაშისა და აზარტის ელემენტს შეიცავს. თუმცა, მთავარი პერსონაჟის და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობა არ განიხილება როგორც მხოლოდ გეი უფლებებისთვის ბრძოლა. ისინი არ

Sean Penn once again proves that he is a good actor. Penn was likely chosen for the role in part because of his radical political and social views (he has been a vocal critic of the Iraq war and virulently anti-Bush). Sean Penn – who is exactly the same age as Milk was when he died, 48 – studied in detail all the aspects of the late San Francisco city councilman's life, watching documentaries and studying archive materials.

Milk, originally a New York hippy, gradually evolved into a San Francisco rebel who during his third election campaign changed his image and donned a respectable suit in order to win over voters. "Presentability" became an inseparable part of Milk's campaigns and political activism. He would never take the lift to the city hall chamber, instead choosing the pompous marble staircase; this wasn't an attempt to get physical exercise, but rather to underscore the fact that a gay activist was on the city council, one who needed to make a "grand entrance".

The stories told in this biopic serve as a textbook for waging the battle against homophobia. In the film, Milk's struggle has elements of both play and obsession.



კადრები ფილმიდან "მილკი"
Scenes from MILK movie

მოითხოვდნენ მხოლოდ საკუთარი თავის დაცვას, არამედ სხვა მოქალაქეების დაცვისა და ნორმალური პირობებით უზრუნველყოფისთვისაც იბრძვიან. სექსუალური უმცირესობების უფლებების გარდა მილქი ქალების, ასაკოვანი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ადამიანების დაცვას ცდილობდა.

ფილმში არის ეპიზოდი, სადაც სან-ფრანცისკოში მეგობართან ერთად ახლადჩასული ჰარვი მილქი მეზობელ კაცს ეცნობა. მეზობელი გეი წყვილს ესალმება, შემდეგ კი ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს და დემონსტრატიულად, საგულდაგულოდ გაიწმენდს ხელს. ახალგზარდებს ადამიანური კანონების (კონსტიტუციის) გარდა ე.წ. უზენაესი, ღვთით ბოძებული კანონების არსებობას მუქარით შეახსენებს და წავა. ჰარვი მილქმა დაუმტკიცა ამერიკელებს, რომ მათ აქვთ უნარი იბრძოლონ საკუთარი კონსტიტუციის – ქვეყნის უმაღლესი კანონის დასაცავად და რომ ეს ბრძოლა ოდესმე შედეგს გამოიღებდა.

ასე რომ, მოიმარჯვეთ ცხვირსახოცები, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს!

ნინო ძანძავა

Yet the activities of the main character and those like him add up to not just a battle for gay rights. They sought to protect not only themselves, but also other citizens, fighting for better living conditions for all. In addition to sexual minorities, Milk was an advocate for the interests of women, the elderly and people with special needs.

There is one episode in the film in which Milk, shortly after his arrival in San Francisco, and his boyfriend meet a neighbour. The neighbour shakes hands with the gay couple and then takes a handkerchief out of his pocket and wipes his hands. He reminds the two that in addition to the laws of man, people must also uphold the supreme laws of God and goes away.

Harvey Milk proved to Americans that they have the ability to fight to protect the constitution, the highest law of the land, and that this fight will eventually yield results.

So, get out your handkerchiefs.

Nino Dzandzava

ახალი წიგნები
NEW BOOKS

ფონდ ინკლუზივის ბიბლიოთეკა და რესურს-ცენტრი ახალი წიგნებით შეივსო. შეგახსენებთ, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ როგორც სტუდენტებსა და მკვლევარებს, ისე სხვა დაინტერესებულ პირებსაც. ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის სრული ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ ფონდ ინკლუზივის ვებ-გვერდზეც: www.inclusive-foundation.org

New books are available in the library and resource centre of Inclusive Foundation. Students, researchers and other insterested persons are entitled to access library. Complete list of available resources is available on Foundation's website www.inclusive-foundation.org

- **Vito Russo,** *The Celluloid Closet: Homosexuality in the Movies*
- **Ellen Lewin,** *Out in Theory: The Emergence of Lesbian and Gay Anthropology*
- **Steven Seidman,** *The Social Construction of Sexuality (Contemporary Societies)*
- **Diana Fuss,** *Inside/Out: Lesbian Theories, Gay Theories*
- **Henry Abelove,** *The Lesbian and Gay Studies Reader*
- **Eve Kosofsky Sedgwick,** *Epistemology of the Closet*
- **Rachel Adams,** *The Masculinity Studies Reader (KeyWorks in Cultural Studies)*
- **Robert J. Corber,** *Queer Studies: An Interdiciplinary Reader*
- **Rosalind Gill,** *Gender and the Media*
- **Ski Hunter,** *Coming Out and Disclosures: Lgbt Persons Across the Life Span*
- **Brett Beemyn,** *Queer Studies: A Lesbian, Gay, Bisexual, and Transgender Anthology*
- **Kevin G. Barnhurst,** *Media Q, Media/Queered: Visibility and Its Discontents (Media Q)* Kevin G. Barnhurst
- **Eve Sedgwick,** *Tendencies (Series Q)*
- **John Hepworth,** *Out in Culture: Gay, Lesbian and Queer Essays on Popular Culture (Series Q)*
- **Patricia Forni Dean,** *Homosexuality and the Family (Research on Homosexuality Series) (Research on Homosexuality Series)*
- **Michelle Wolf,** *Gay People Sex and the Media (Research on Homosexuality Series) (Research on Homosexuality Series)*
- **Iain Morland,** *Queer Theory (Readers in Cultural Criticism)*
- **Thomas Peele,** *Queer Popular Culture: Literature, Media, Film, and Television*
- **Steven Seidman,** *Queer Theory Sociology (Twentieth Century Social Theory)*
- **Whitney Davis,** *Gay and Lesbian Studies in Art History (Research on Homosexuality) (Research on Homosexuality)*
- **Karen E. Lovaas,** *LGBT Studies and Queer Theory: New Conflicts, Collaborations, and Contested Terrain (Journal of Homosexuality)*
- **William Meezan,** *Research Methods With Gay, Lesbian, Bisexual, and Transgender Populations (Journal of Gay & Lesbian Social Services, 3/4) (Journal of Gay & Lesbian Social Services, 3/4)*
- **Alan L Ellis,** *The Harvey Milk Institute Guide to Lesbian, Gay, Bisexual, Transgender, and Queer Internet Research (Haworth Gay & Lesbian Studies) (Haworth Gay & Lesbian Studies)*
- **Sheila Jeffreys,** *The Lesbian Heresy*

www.inclusive-foundation.org

PUBLISHED BY Inclusive Foundation

PRINTED in Cezanne ltd.
140, Tsereteli Ave. Tbilisi, Georgia
Tel: 995 32 35 70 02
lika@cezanne–web.com

ELECTRONIC VERSION OF THE ISSUE IS AVAILABLE AT INCLUSIVE FOUNDATION WEBSITE
www.inclusive–foundation.org

MATERIAL PUBLISHED IN THE MAGAZINE IS COPYRIGHT PROTECTED AND NEEDS TO BE REFERENCED

MAGAZINE IS DISSEMINATED FREE OF CHARGE

Publication is financed by
COC Netherlands and
Heirich Boell Foundation

ISSUE DESIGNED BY: printlock
COVER PHOTO: Erwin Olaf
Courtesy: Hasted Hunt, New York

ISSUE IS PREPARED BY:

Eka Aghdgomelashvili
Paata Sabelashvili
Anna Kirey
Kakha Kepuladze
Lela Gaprindashvili
Nino Dzandzava
John Horan
Nino Bekishvili

ISSN 1512-2395